

# მწევალი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსან კეთილმან სული თვისი  
დაპსდევის ცხოვართათვის. იარ. 10—11.

გვევე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული  
ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენ  
და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 17—18

1883—1903

15—30 სექტემბერი


შუთაისს სასულიერო სასრავლებლის ჟმენება.

ქუთაისის გუბერნიის სამი მაზრის სამღვდელოებას  
აქვს ერთად-ერთი ოთხკლასიანი სასწავლებელი  
და ისიც არა სანუგეში მდგომარეობაშია. არ მოს-  
წონს იგი რევიზორებს, არ მოსწონს სამღვდელოე-  
ბას და არ მოსწონს, ვგონებ, თვითონ სასწავლებლის  
მთავრობასაც. ფულები ბევრი ეხარჯება სამღვდე-  
ლოებას და სარგებლობას. კი ვერას ხედას მაგდენს. ამ  
წელში ბლომად გაათავეს შაგირდებმა კურსი, მაგრამ  
ძლიერ ცოტა მიიღეს სემინარიაში, დანარჩენები  
კი დარჩენ უბატქონოდ და საწყლად. წარმოიდგინეთ  
ჩენ ოთხკლასიან შაგირდებზე უფრო გზა ხსნილი  
აქვთ ქალაქის სასწავლებლის შაგირდებს, როცა  
იგინი სამასწავლებლო ინსტიტუტი და სამასწავლე-

ბლო სემინარიაში შედიან. ახლა დროს დაკარგვას  
არ იტყვით? საწყალი შეგირდი ძლიერ გაათავებს  
შვიდ წელს, თუ ლმერთი შეეწია და ორ წელს არ  
დარჩა ერთ კლასში...

ამას წინეთ სამღვდელოებამ გადასწყვიტა პარა-  
ლელური განყოფილებათა დახურვა ყველა კლასე-  
ბთან დასაწყისი მოსამზადებელი კლასიდან. მაგრამ  
ეს ძლიერ ეწყინათ ზოგიერთ მასწავლებლებს და  
იმ შიშისა გამო, რომ უადგილოთ არ დავრჩეთო  
ერთი ალიაქოთი ასტეხეს გაზეთებში და უპირველეს  
სასწავლებლად გამოიყვანეს ქუთაისის სასულიერო  
სასწავლებელი!.. ეს მასწავლებელნი მხოლოდ თვის  
ჯამაგირზე ზრუნავენ, თორემ ჩვენი სამღვდელოების  
შვილებზე მაგდენს არას ფიქრობენ...

წარსულ წელში ძლიერ-ძლიერით მონახეს შეგი  
რდები, თორემ მოსამზადებელი კლასი უნდა დახურუ-



ლიკო, რადგან მსურველნი არ იყვნენ სამღვდელოების შვილთაგანი სასწავლებელში შესვლისა, და ერთის კაცის შვილებს თა პროცენტზე მეტს ვერ იღებდენ. ამ წელში ზედამხედველმან ექსარხოს სთხოვა: სამღვდელოების შვილები ცველა მივიღეთო, მაგრამ ბევრი ადგილი ცარიელი და ნება მოგვეცით ერისკაცის შვილები მივიღოთ თა პროცენტზე მეტიო. კიდეც მოეცათ ნება. ეს გარემოება ჩვენ ძლიერ გვაკვირვებს. ნუთუ სამ მაზრაში იმდენი შვილები არ აღმოჩნდა მღვდლების, მთავარ-დიაკვნების, და მედავითნების, რომ ცარიელი ადგილი არ დარჩენილოყო. ეს დაუჯერებელი ამბავია. ეს აიხსნება მით, რომ სამღვდელოებამ აივორა გული თავის საყვარელ სასწავლებელზე, აღარ ხედავს მათგან სარგებლობას და სხვა სასწავლებელს მიაშურა. თუ სასულიერო წოდების შვილები აღარ ავსებს კლასებს რატომ არ ხურვენ პარალელურ განკუფილებას? რატომ არ ხურვენ მოსამზადებელ კლასებს? დღეს მოსამზადებელ კლასში ხომ სამას შაგირდამდე არის? ეს სამასი შაგირდი მთლად აფუჭებს ჩვენი სასწავლებლის საქმეს. სამასი შაგირდი, რომ სასწავლებელს მოაკლდეს მაშინ დანარჩენს სამას ეკულესიაც ეყოფათ, კარგადად მოთავსდებიან და არავითარი შენობის მომატებაც საჭირო აღარ იქნება. დღეს ბევრ გლეხეკაცებს მომზადებული შვილები მიყავსთ მოსამზადებელ კლასში იმიტომ, რომ სხვაგმნ არ იღებენ მათ. თუ გლეხეკაცებს შეუძლიათ თავის შვილების მომზადება მღვდლებს რადა ემართებათ? ნუ თუ სირცხვილი არ არის ეს მათთვის, მერე სემინარიელთათვის? რამდენია დღეს სოფლებში მოსამზადებელი კლასები, ორ კლასიანი და პირველ კლასიანი სამრევლო და საერო სასწავლებელნი და ნუ თუ ამ სასწავლებლებში არ შეუძლიათ მომზადონ ბავშვები? ვინ არიცის თუ რამდენად მავნებელია პატარა ბავშვების ჩაყვანა ქუთაისში და ისე უბატრონოდ მიგდება, როგორც ეხლა შვებიან ზოგიერთი მშობლები. რამდენია მავნებელია თოთო ბავშვის მოშორება დედმამის ოჯახისაგან და ვიღაცის სახლში მიგდებულად დატოვება უყურადღებოდ და უზრუნავად. ჩვენ არ გვჯერა, რომ სამი წლის განმავლობაში მშობლებმა სოფელში ვერ მომზადონ პირველი კლასისთვის ან სოფლის სკოლებში და ან კერძო მასწავლებელთან. ამ ნაირად მომზადებაზე ბევრის წილად ნაკლები დაეხარჯებათ ვინემ ქუთაისში და მასთან თო-

თო ბავშვიც დამაგრდება სხეულით და უფრო ადგილად აიტანს იმ მდგომარეობას, რომელშიაც იგი ოთხი წელიწადი დარტება სასწავლებელში კურსის დასრულებამდის.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ერთს წერას და აფიაქოს ასტენებ ამაზე ზოგიერთი მასწავლებელნი, მაგრამ როგორც წინეთ ვსთქვით, იმათ ადგილის გაუქმდება, დამატებით ჯამაგირების მოსპობა და სხვა დასხვა კერძო ანგარიშები აწუხებსთ, თორემ სამღვდელოების შვილების ზრუნვა მაგდენად არა.

სამღვდელოება უნდა დაფიქრდეს კარგად ამაზე და ამდენი ფულები, რომ ეხარჯება, ამ ერთად-ერთ თორელისაინი სასწავლებლის შენახვაზე, საქმე დააყენოს რიგიანად და მათი შვილებისათვის სასარგბლოდ...

ამ წელში შეგირდებმა კარგად ბლობად გაათვავეს ქუთაისის სემინარია, მაგრამ ვინც ხეირიანი იყო არც ერთი არ დარჩენილა, რომ უმაღლეს საერო სასწავლებელში არ წასულიყოს. თუ უმაღლეს სასწავლებელში აპირობდენ წასვლას მათთვის პევრის წილად სჯობდა პირველადვე სწავლა დაწყოთ გიმნაზიაში. რომ ისე მოქცეულიყვნენ დღეს ერთი წლით წინეთ გათავებულ ექნებოდათ მაღალი სასწავლებელი. დიალ, დასაფიქრებელია ეს გარემოება როგორც მშობლებისათვის ისე სასწავლებლის მთავრობისათვის. ჩვენის აზრით საჭიროა დავიფიქრდეთ კარგად: ვითხოვთ, რომ სასწავლებლის და სემინარიის პროგრამები ეხლანდები დროის მოთხოვნილებისამებრ შეაღვინონ უმჯობესი, ახალი. ეს უკეთესი იქნება ვინემ ახალი სემინარიის სახლების აშენება და მათი ელექტრონით განათება. სემინარიის სახლების მშვენიერად მოწყობა და ელექტრონით განათება სემინარიელებს არ მოუმატებს იოტის ოდენა სწავლა-მეცნიერებას იმაზეც მეტს რასაც დღეს იღებენ არსებული პროგრამით. საერო წოდებაში დიდი მუშაობა არის სწავლა-აღზრდის საქმეზე და ბევრიც დაიწერა, მაგრამ სემინარიებისა და სასულიერო სასწავლებლის შესახებ სამღვდელოების წოდებაში კრინტი არ ისმის. და ხარჯი-კი ბევრია; მშვენიერად ინახვენ საერო წოდების სკოლებს 10,000 მანეთით და ჩვენს წოდებაში კი 25,000 მანეთი არ ყოფნის და ისიც უსარგელლოდ მიღის...

დეპ. დ. ლამბაშიძე.

## უცილილდან პეტერბურდამდე

(შთაბეჭდიდებანი და შენაშენები მოგზაურების დროს).

23 აგვისტოს გავემგზავრეთ პეტერბურლისაკენ ამიერ-კავკასიის რკინის გზით. 1887 წლიდან ეს მეხუთმეტეჯერ ვმოგზაურობთ პეტერბურლისაკენ და ჩვენთვის. გასაოცარი და გასაკვირალი მაინც-და მაინც აღარა არის-რა. მაგრამ ყოველ მოგზაურობაზე მაინც მრავალ რამეს შეხვდებით ხოლმე, რომელიც ძლიერ დასაფიქრებელია ყველასათვის, განსაკუთრებით ჩვენ დაბეჭავებულ და დამკირებულ ქართველებისათვის.

25-ს დოლით ბაქოში სადგურზე ვიყავით და ორი საათის შემდეგ გავემგზავრეთ ვლადიკავკავის რკინისგზით. 26 დოლით ვლადიკავკაზის მივედით და აქედან 40 წამის შემდეგ როსტოვისაკენ გავემგზავრეთ. აქედამ ჩქარი მატარებელით წავედით. როსტოვიდამ მეორე კლასით წამსვლელს ოთხი მანეტი და ათი შაური ხდება ზედმეტი ფასი მოსკოვამდისინ, ესრედ წოდებული პლაც-კარტის ფული. ამ მატარებლით მეტის-მეტად მოსვენებული მიდიხარ; ყველას საწოლი აქვს საკუთარი, და რამდენიც უნდა მოემატოს წამსვლელი შენ ვერ შეგვიწროებს. ამასთან როსტოვიდამ მოსკოვამდისინ მიდიხართ ოც-და თოთხმეტი საათი, როდესაც უბრალო ფოსტის და ხალხის მატარებლით ორი დღე და ნახევარი უნდები და ვაგონებიც იცვლებიან გზაში.

როსტოვს იქით სომხების ქალაქი ნახიჩევანი იქცვს მგზავრის ყურადღებას. ეს სომხები ეკატერინეს დროს გაღმოუყვანიათ. მიუციათ კარგა ბლომად ადგილები და დაუბინავებიათ სათათეთიდან გამოქცეულები. ეკატერინეს, რასაკვირველია, აზრადის ექნებოდა, რომ იგინი გარესდებოდენ და ბოლოს მართლმადიდებლობასაც მიიღებდენ. რუსულად მართლა ნამდვილ რუსებიგათ ლაპარაკობენ, მაგრამ სომხებიც არ დაუვიწყნიათ. ამათი ცხოვრება, ამათი ქალაქი არაფრით არ გაიჩიება უცხოეთის მშვენიერად მოწყობილ ქალაქებიდან. ამათი საზაფხულო საგარაკო ადგილები მშვენიერად მოწყობილია, როცა მახლობელი დიდი ქალაქი როსტოვი-დონზე ერთს და იმავე მდგომარეობაშია, მტვერიანი, ჭუჭყიანი და ძველებურად, ბინძურად. მერე წარმოიდგინეთ ქალაქს მშვენიერი საგაჭრო ადგილი აქვს და-

ჭერილი, მაგრამ უვარების გამგებლების ხელში მაინც საწყლიად არის. 27 აგვისტოს მოსკოვში მივედით. მოსკოვი ისე ძველებურად, თავისებურად ცხოვრებს. ნამდვილ ძველი ულთემის წესზეა აქ ყველაფერი დამყარებული. მოსკოველი თუ ხედავს, რომ არ აგებს, ცოტა მოგება მაინც რჩება, სრული კმაყოფილია, მეტი არ უნდა; მამა-პაპების ჩვეულებაზე მტკიცეთ არის დამყარებული. ცხენის რკინის გზები ისევე ძველებურად არის. არის ვაგონებზე ერთი ზარების რეკა, შეღმართებში პარუკით ცხენების შებმა და უსტის /ყუთებით კაცების სირბილი და ჩონჩორიკის ხევტა ცოცხით! თრიოდე სამოიდე კაცს ელექტრონით სასიარულო კარეტები მოუპოვებათ, მაგრამ ხალხი ცოტა ცუდის თვალით უყურებს მათ, რადგან, იმისთვის ეშმაკური მანქანების შემოღება მომავალი დროისთვის მუშა ხალხისთვის და მეეტლებისათვის ცუდი შედეგის მომტანია. ისინი ფაქტობენ, თუ აღარც ცხენის ჩონჩორიკი იქნება სახვეტი, აღარც ქუჩრები იქნებიან საჭირო და საცოდავები შიმშილით მოკვდებიანო!..

ხალხი ერთი შეხედებით ვითომ ძლიერ მორწმუნეა. მართლაც არ შეიძლება რომ მოსკოველმა ეპკლესიას, სამდოცველოს და სალმე თუ სვეტზე ხატია ჩამოკიდებული ან დასვენებული მათ ვერდზე ისე გაიროს, რომ რამდენჯერმე პირზე ჯვარი არ გამოისახოს. მაგრამ სამწუხაროდ ხშირად გარეგანი ნიშნები სარწმუნოებისა სრულებით არ ამტკიცებს ჭეშმარიტ ქრისტიანობას.

ხშირი შემთხვევაა მოსკოვში რომ კაცს კვლენ და სცარცვავენ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ავაზაკებიც ისე გამოისახავდენ პირჯვარს ეკვლესიების დანახვაზე, როგორც სსვები საზოგადოდ მაგრამ, საზიზლარ მკვლელობას მაინც ჩადიან. მკვლელობა ღვინის სმაში და ჩხუბის დროს კი არ ხდება, არა, ფულების წარმეტვის გულისათვის, ღიღი ხნის მოფიქრების შემდეგ...

მოსკოვში გამოდის ერთი გაზეთი, რომელსაც ეწოდება «მოსკოვის ფურცელი»: ეს გაზეთი თითქმის ყველა მოსკოვის ქალაქის გაზეთებზე მეტი იბეჭდება და საღდება. ეს გაზეთი მშვენიერად ახასიათებს მოსკოვის მცხოვრებთა ზნეს, ჩვეულებას და ცხოვრებას. იყიდოთ მაგალითებრ ერთი ნომერი ამ გაზეთისა გადაეცედოთ. აი რას ვკითხულობთ: ბაჟშეს სხეული.

„29 აგვისტოს, ქრისტეს ეკკლესიის პირდაპირ



ვოლხონ კაზე მეტოვე შენიშნა მიმავალი ძალი, რომელსაც პირით პატარა ბავშვის სხეული მიჰქონდა. სად იშვა ეს პატარა ბავშვის სხეული ამ ძალმა არ იციან. წართმეული სხეული გაიგზავნა ტვერის პოლიციის სამლოცველოში... გამოძიებაა, ძალი კი გაიქცა"... მეორე შემთხვევა. „ათ საათზე საღამო-ით ნახეს კაცი დაგდებული უგრძნობელად პატარა ბალში სოკოლნიჩის ახლო. კაცი იყო პერანგის-სა-მარა უგრძნობელად. წაიყვანეს სავადმყოფოში. იქ ექიმებმა მოიყვანეს გრძნობაზე და ი რა სთქვა: „მე საღამოზე დავსეირნობდი ბალში და ბოლოს დავჯექი სკამზე დასასვენებლად არ კაცი მომვა-რდა და დამარტყეს ქვა თავში და ფერდზე. მე უგრძნობლად შევიქნი, ჩემთვის მათ გაუხდიათ პალტო, ქუდი და შარვალი და წასულან“. ამისთანა შემთხვევებით სავსეა ხოლმე გაზეთი!.. ერთი ჩვენე-ბური მოხუცებული სოფლის მოძღვარი ამტკიცებდა ამას წინეთ, რომ სარწმუნოება და კეთალ ზნეობა ნახევრობით არის დღეს დაცემული ძველ დროსთან შედარებით. როცა კითხეს: რით ამტკიცებ ამასაო, მან აი რა სთქვა: ძველ დროსთან შედარებით ტაბ-ლები და ხორაგოულობა მრევლისაგან ნახევრობით დაკლებულია დღესო, წინანდელ დროის შემოსავა-ლთან შედარებითო. ეხლა აღარც სათბილო აღარც ბეჭი და აღარც შუა ძვალი იციან და დასალოცა-ვათ თითო დოქტორი ღვინო აღარ არის მღვდლისთვისო. ამ მოძღვრის არ იყოს მოსკოვის ვაჭრები და სხვე-ბიც სარწმუნოების და ხალხის კეთილ-ზნეობას ზომენ გაყიდული ხატების რაოდენობით და ამ ვაჭრობი-საგან აუარებელი ფულების შემოსავლით...“

გარეგანი ნიშნები საკმარისი არ არის კაცის სარწმუნოების დასამტკიცებლად. ეკულესის დანა-ხვის დროს ჩვენ ურიაც-კი შევნიშნეთ რომ ხელებს იფართხულებდა გულზე. ისიც საზოგადო ჩვეულების ასრულებლა!..

დიალ, ერთსა და იმავე სმგანზე ხალხს სხვა-და სხვა შეხედულება აქვს. მაგრამ მრავალს შეხედებით რუსეთში ისეთსაც, რომელთაც სახარების მცნება კეშმარიტად შეუთვისებიათ და ყოველ კაცს ეპყრ-ბიან კეშმარიტი ქრისტიანული სიყვარულობით. მათთან საუბარი ძლიერ სასიამოვნო არის და დიდად ნუგეშობ მწუხარების დროს და იმედიც გეძლევა...“

ღმბ. დ. დამ—ძე..

## საგლაციონო წიგნი-საცავ-სამკითხველოები

(ცუძღვნი ქუთაისის სამღვდელოებას)

სასულიერო უურნალი „სტრანნიკი“ ერთს სა-ყურადღებო საგანს ეხება: „მცირე მოსაზრება სოფ-ლის სამღვდელოების წიგნთ-საცავ-სამკითხველოებისა და „საბლალობინო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს საქ-მის შესახებ“.

ორი ავტორი ერთსა და იმავე საგანზე ლაპა-რაკობს. მეორე წერილი შედეგია პირველისა, ერთი მეორეს ხსნის, ერთი მეორეს ემოწმება.

წერა-კითხვის მცოდნე და განათლებულ ადამი-ანისთვის რომ წიგნია საჭირო, ბევრი ლაპარაკი არ უნდაო,—ამბობს პირველ სტატიის ავტორი. წიგნთ-საცავ-სამკითხველოების საქმე ზარმაცად მიიჩღაზნება წინაო, თუმცა მაგალითები იმ წიგნთ-საცავ-სამკითხ-ველოებისა, რომელთაც აარსებენ დაბალ ხალხისა და საზოგადოებისათვის ცხადად გვიმტკიცებს, რომ იმ საქმეს თიდი წარმატება მოელის: წიგნი იყოს, მკითხველი ყოველთვის იქნებაო.

უფრო ნელის ნაბიჯით მიდის თურმე ეს საქმე რუსეთის სამღვდელოებაში. ეს სამღვდელოება გა-მოაცხადებს სურვილს, თუ საეპარქიო მთავრობა თვით მისცემს წინადადებას წიგნთ-საცავ სამკითხვე-ლოების დაარსების შესახებ, სულ ერთია, საქმეს ირაფერი ჰშველის: ერთს აღგილას საქმარისად სთვლიან საეპარქიო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს და აღგილობრივ საეკულესის, მეორეში—სამაზროს, მესამეში—საბლალობინოს. სერიოზულად კი არც თვითონ სამღვდელოება ეკიდება საქმეს, არც საე-პარქიო მთავრობა. ეს უკანასკნელები მოისმენენ წანააღმდეგ აზრს ან ბლალობინისას, ან სამღვდე-ლოების კრების მხრივ დამშვიდებიან, საქმე გა-თვებულად მიაჩინიათ.

ერთი მიზეზთაგანი, რომელიც აგვიანებენ წიგნთ-საცავ-სამკითხველოების დაარსებას, იმალება თვით სამღვდელოებაში. ეს მიზეზია წიგნისადმი აპატია, ნამეტნავად სერიოზულ წიგნისადმი. ეს სნე-ულება (თუ ასე შეიძლება ვუწოდოთ) სამღვდელო-ებას ეპარება სემინარიებში. მეტი ნაწილი სემენარი-ების შეგირდებისა, განსაკუთრებით უკანასკნელ კლასებისა, ნაკლებად კითხულობენ წიგნებს, იმ წიგნებსაც კი, რომელთაც პირდაპირი დამოკიდე-



ბულება აქვთ შესასწავლ წიგნებთან. ეს ფაქტია, რომელიც მტკიცდება აგრეთვე სემინარიელების აკადემიაში შესვლის დროს. თითქმის აკადემიის ყველა მომავალი სტუდენტი მიღის იმ ცოდნით, რომელიც მოთავსებულია სახელმძღვანელოებში. სახელმძღვანელოებს სიტყვა-სიტყვით იზეპირებს და უკველია გონებაში ფურცლავს და სთვლის წიგნის გვერდებს. ესეთი უნუგეშო მოვლენა იქიდამ წარმოსდგება, რომ სემინარიის პროგრამა ვრცელია, დრო-კი ნაკლები და მასწავლებელნი ჩქარობენ კურსის შესწავლას, არ კითხულობენ, რამდენი გაკვეთილი აქვთ მიცემული სხვა საგნებში, არ კითხულობენ, მოასწრებენ თუ არა მოწაფეები, და აძლევენ დასასწავლად 10—20 გვერდს.

ამის გამო მომეტებული ნაწილი შეგირდებისა იქნება აპატიას მეცნიერებისადმი და სიძულვილს, სიყვარულის მაგიერ. კურს დამთავრებული ახალგაზრდა ღვთის მეტყველი ისვრის გვერდზე იმ სახელმძღვანელოებს, რომელთაც თავი მოაბეჭრეს ექვსის წლის განმავლობაში, და წინანდელ სულის შემხუთავ საგნებს თავს ანებებს. რაკი მღვდლობას მიიღებს, კურს დამთავრებული მთელს თავის ყურადღებას მიაპყრობს პრაკტიკულ მოქმედებას და, თუ დრო დარჩა, კითხულობს მხოლოდ გაზეთებს (თუ კი კითხულობს!). სერიოზულ წიგნზედ არც კი ჰყიუქრობს. შემდეგ, როდესაც ჩაიყურყუმელავებს ცხოვრების მორევში, იქნება იგრძნოს კიდეც წიგნის საჭიროება, მოინდომოს განახლება თავის ცოდნისა, მაგრამ... არა აქვს წიგნი... და საჭიროა საშუალება მის მოსაპოებლად.

ზემო ნათქვამს ჩვენც ჩვენის მხრივ დაუმატებთ, რომ ჩვენი სემინარიები უარეს გარემოებაში არიან, ვინემ შიდა-რესეტისა. ჩვენს სემინარიებში, სადაც საგნებს ასწავლიან რუსულ ენაზედ, პროგრამა-კი ისეთივეა, როგორც შიდა-რესეტში, შეგირდებს უძნელდებათ სწავლა; აქ უფრო უჭირდებათ გაზეპირება, უფრო მეტად ილალებიან, უფრო მეტი აპატია და სიძულვილი იბადება წიგნებისადმი, ვიდრე რესეტში, სადაც სამშობლო ენაზე ასწავლიან საგნებს.—

მეორე მიზეზით, განაგრძობს ავტორი, რომელიც ხელს უშლის წიგნ-საცავ სამკითხველოების გავრცელებას, არის სამღვდელოების კარჩაკეტილი ცხოვრება. ძალიან იშვიათ შემთხვევაში იკრიბება

სამღვდელოება ერთად ჩვენ, მოძღვარნი, არ მივუძვით წინ მრევლის ცხოვრებას, იშვიათად ვცდოლობთ ჩავაყენოთ ცხოვრება კალაპოტში, არ შეგვიძლიან თავის დროზედ შეენიშნოთ რაიმე მოვლენა მთელის მრევლისო, ან თვითეულ იდამიანის ცხოვრებაში. საზოგადო მოქმედების გეგმის უქონლობას ის შედეგი მისდევს, რომ ერთი მოძღვარი მთელს თავის ძალლონებს ანდომებს ეკულესის გამშვენიერებას, მეორე სკოლის საქმით არის გატაცებული, მესამე მოძღვრებას ეძალება, სოხუმის ქადაგებას, მეორე მეურნეობას, მეხუთე მღვდელთ-მოქმედებას — წირვა-ლოცვას მხნედ ეკიდება. ამ გვარად ყველა მოძღვართაგანს აუღია ერთი რომელიმე კერძო ცხოვრებისა და მით არის გატაცებული.

აპატია, განკერძოება, უსოლიდარობა სამღვდელოთა შორის ღიღი დაბრკოლებაა წიგნ-საცავ სამკითხველოების დაარსებისა. აქედან ის კი არ უნდა დავასკვნათ, რომ წიგნ-საცავ სამკითხველონი საჭირონი არ არიან, რომ მათ მკითხველი არ ეყოლება, რომ მათი არსებობა საცოდაობის ყოფა-ცხოვრება იქნება. პირ-იქით წიგნ-საცავ სამკითხველოების უნდა მოსპონს ადნიშნული დაბრკოლებანი, უნდა ადრიან ცნობის მოუგარებლა სამღვდელოებაში, გააცხვეველონ მათი მოქმედება.

იშვიათია იმისთანა სოფელი სალაც მარტო ოფიციალურ გამოცემას იშერენ; თითქმის ყველგან იშერენ ან გაზეთსა, ან უურნალს. მაშასალამ წიგნ-საცავ-სამკითხველოების დასარსებლად ნიადაგი მზათ არის, თუმცა შეიძლება ძალიან კარგათ არ იყოს განაყიერებული.

რა გვარი წიგნ-საცავ-სამკითხველოები უფრო გამოადგება სამღვდელოებას, რომელი უფრო მეტს სარგებლობას მოუტანს, რომელი უფრო მოსახერხებელია: საეპარქიო, სამაზრო, თუ საბლაობინო?

საეპარქიო წიგნ-საცავ-სამკითხველოები ვერა-ფერს ვერ მისცემენ სოფლის სამღვდელოებას, ფოსტით წიგნების გაგზავნ-გამოგზავნა ხელის მომწერის ხარჯზედ, წიგნის სალირალის დატოვება დაუკარგავს კითხვის ხალის დარიბს სამღვდელოებას და მიყრუებული კუთხები უწინდებურად უწიგნოდ დარჩებიან. საეპარქიო წიგნ-საცავ-სამკითხველოები სარგებლობას მოუტანენ მარტო ქალაქებ სამღვდელოებას, ერის კაცთ, რომელნიც ეძებენ სასულიერო შინაარსის წიგნებს და იმათ, რომელნიც სპეციალურ კი საგნების შემუშავებას მისდევვენ.

საეპარქიო წიგნთ-საცავ-სამკითხველოებზე მეტი მნიშვნელობა ექნება სამაზრო წიგნთ-საცავ-სამკითხველოებს, რაღაც უფრო ახლო იქნებიან სამღვდელოებაზე, მაგრამ აქაც მრავალი დაბრკოლოებაა: საჭიროა სახლი, გამგე რომელსაც ჯამაგირი უნდა ეძლიოს, სახლის გათბობ-განათება, მოსამსახურე; ნახევარი შემოსავალისა მოუნდება დასახელებულ საჭიროებათ და არა წიგნების შექმნას. ამას გარდა, ფოსტით ყველა მღვდელს არ შეუძლიან წიგნების მიღება, რაღაც ფოსტა ყველგან არ არსებობს და ფოსტა პასუხის მგებელიც არ იქნება, თუ წიგნი დაიკარგა.

სხვა გვარ გარემოებაში იქნება საბლალოჩინო წიგნთ საცავ-სამკითხველოები. უწინარეს ყოვლისა საბლალოჩინო წიგნთ-საცავ-სამკითხველო ისეთი დაწესებულება კი არ არის, რომელიც შორსა და გას მკითხველებზე, სადაც კომიტეტი და მმართველი ჯამაგირს იღებენ; ეს დაწესებულება ახლოა ყველა წევრთან. საბლალოჩინო ყველა წევრის ინტერესი მჭიდროდ არის შეკავშირებული წიგნთ-საცავ-სამკითხველოსთან. წიგნებს და უურნალებს კომიტეტი-კი არ ირჩეს გამოსაწერად, რომელიც, მოუცლელობისა გამო, იქნება არც-კი კითხულობს, ირჩეს ყველა წევრი, მთელი საბლალოჩინო. წელიწადში არა ერთხელ და ორჯერ მოხდება ხოლმე საბლალოჩინო კრება. ამ კრებაზედევ შეუძლიან გადასწყივობის სამღვდელოებამ, რომელი წიგნი და უურნალია მისთვის საჭირო. ესევე კრებანი გადასწყივეტენ, რა საშვალებით იწერონ საჭირო წიგნ-უურნალები, რავდენიც უნდა მოუმატონ საშვალება, ანუ დაუკლონ, არავის ნებართვას საჭიროებენ. სამღვდელოების ხელშია წიგნთ-საცავ-სამკითხველოების წარმატებაც და მათი შემცირებაც. საშუალების მხრით საბლალოჩინო წიგნთ-საცავ სამკითხველოს დიდი უპირატესობა აქვს საეპარქიო წიგნთ-საცავ-სამკითხველოზე და სამაზრო ხომ შესადარებელიც არ არის. არც ისე ძნელია საბლალოჩინო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსება. საჭიროა თანხმობით მოქმედება საეპარქიო მთავრობისა და სამღვდელოებისა, საჭიროა მხოლოდ მტკიცე სურვილი და შეგნება წიგნთ-საცავ-სამკითხველოს მნიშვნელობისაც და სარგებლობისა.

ყველა სასულიერო უურნალები შეიძინოს კლასიკური თხზულებანი საღვაისშეტრკველო შეცნიერებისა და თან-და-თან, საშვალების დაგვარად, შეიგვის ახალ ავტორების ნაწარმოებით. ახალი ავტორების არჩევაც არ გაუძნელდება სამღვდელოებას: ყველა უურნალში იპოვება შინაარსი და კრიტიკული გარჩევა ახალი წიგნებისა, სამღვდელოებამ მარტო ის აირჩიოს, რაც მოეწონება. საბლალოჩინო კრებაზე ყველა მღვდელს შეუძლიან გამოსთვას, რომელი წიგნი მიაჩნია საჭიროდ ან ლირსად გამოწერისა. ასე ამ გვარად, როდესაც ყველა წევრი ინტერესით მოეკიდება საქმეს, ყველასათვის საინტერესო და საყვარელ საქმედ გადაიქცევა. საბლალოჩინო წიგნთ-საცავ-სამკითხველო.

უპირველეს ყოვლისა, თუ სუყველა არა, სახლი და მართველი მაინც მუქთი უნდა იყოს. მაგალითად, წიგნთ-საცავი შეიძლება მოთავსდეს ეკულესიაში — მის საკანდელაკოში (რივნია), ან რომელისამე მღვდლის სახლში, მმართველად უნდა იყოს კრებულის რომელიმე წევრი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველა საბლალოჩინოში მოიპოვება მღვდელი, დაკონი, ან მეზავითნე, რომელიც თავის ნებით და სიყვარულით ემსახურება ამ საქმეს.

ამ გვარად საბლალოჩინო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დიდი უპირატესობა აქვს საეპარქიო წიგნთ-საცავ-სამკითხველოზე და სამაზრო ხომ შესადარებელიც არ არის. არც ისე ძნელია საბლალოჩინო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსება. საჭიროა თანხმობით მოქმედება საეპარქიო მთავრობისა და სამღვდელოებისა, საჭიროა მხოლოდ მტკიცე სურვილი და შეგნება წიგნთ-საცავ-სამკითხველოს მნიშვნელობისაც და სარგებლობისა.

მეორე წიგნში მოთავსებულ სტატიის ავტორს მოჰყავს ინგლისის მეცნიერის ჯონმერტელის შემდეგი აზრი: „თუ ოდესმე შესაძლო იქნება ვთხოვო ზეცასა იმსთანა ნიჭი, რომელიც გამამხნევებდა ცხოვრებაში გადამექურდა სიხარულის და ბელნიერების წყაროდ და ბოროტების ფარად, მთელს ჩემს სიცოცხლეში, —ვინც რა უნდა სთვას, თუნდაც მთელმა ქვეყანამ შემიკრას შუბლი, —მე ვითხოვდი წიგნის კითხვის ხალისს. მიეკით ადამიანს კითხვის ხალისი, საშვალება მის დასაკმა-ოფილებელად და თქვენ იმას გააბეღნიერებთ უეჭველად“. მართლაც და, ვინ არ იცის, რა გამაცოცხლებელი, გამამხნე-

ვებელი გავლენა აქვს მაშვრალ აღამიანზედ შესაფერ წიგნის ან ურნალის წაკითხებას...

თვით ცხოვრება გზავნის სამღვდელოებას წიგნისაკენ, რომელიც სასტიკად ჰკიცხას აღამიანს, ცხოვრების მოვლენათა გარეშე მაყურებელიად მდგომარეობს.

ამ ზემო აღნიშნულ ავტორების განმარტებას საჭირო არ არის ჩვენის მხრივ დაუმატოთ რამე. ვისაც უურნი ასხან სმენად ისმენენ.

ეს ორი წელიწადია, რაც ერთმა ნაწილმა ქუთაისის სამღვდელოებისამ (?) შეადგინა წესდება საბლალობინო წიგნთ-საცავ-სამკითხველოსი. ეს წესდება განხილულ იქმნა ქუთაისის საბლალობინო კრებაზედ და წარდგენილ ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზის ლეონიდისადმი. ყოვლად სამღვდელო დიდის თანაგრძნობით მიეგება და გრძნობით აღსავს მოწონების რეზოლუცია დაწერა წესდებას. მაგრამ ამ საქმის განხორციელებას დიდი მეცადინეობა უნდა.\*)

(„ივერია“)

### მ დ ა რ ე ფ ი რ ე ბ ი ა ნ დ ი ს ი ს ე ბ ი .

პ ე რ ე ბ ი მ უ რ ე ბ ი დ ა ნ .

3,800 ვერსის გავლა და იმდენი მანძილით დაშორება შენ სამშობლოზე, მართლაც ხუმბრობა არ არის! ვინ წარმოიდგენდა ამას წინეთ? დღეს-კი ამდენი მანძილის გავლა სულ აღვილი საქმეა! ხუთი ექვსი დღის შეტი დრო არ არის საჭირო. მაგრამ,

\*) დიდი მსჯელობა და ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო იმის დასამტკიცებლად, რომ საეპარქიო და სამაზრო სამკითხველოზე კარგად მოწყობილი და საჭირო წიგნებით სავსე საბლალობინო სამკითხველო უფრო სასარგებლო იქნება. ამ სტატიის მთარგმ. ბრძანებს, რომ ყველაფერი კარგად წავთუ ერთგულად და სიყვარულით მოყვიდებიან ყველანი სამკითხველოს საქმესო. საქმეც ეს არის! მარტო სიტყვით არა გაკეთდება რა და საქმით კი ვისაგანაც ჩვენი სამღვდელოება ბევრს რამეს მოელოდა ჩვენი ესრულებულის მაღალი სწავლის მიმღებ სამღვდელოებისაგან დღემდის მარტო ლითონი სიტყვები ესმის და საქმით მათ არავისთვის არა დაუმტკიცებიათ რა. თუ საბლალობინო სამკითხველოები არ არის სამაზრო მაინც უნდა იყოს. თუ სამაზრო არ არის მაშინ საეპარქიო მაინც უნდა იყოს. ჩვენი სამღვდელოების მდგომარეობა არც ერთი ხალხის სამღვდელოებასთან შესადარებელი არ არის, ჩვენ სულ სხვა მოფიქრება და სხვა გამჭრიახობა გვმართებს... რედ.

რომ დააკვირდები საქმეს, ხან-და ხან იტყვი: ნეტავი რკინის გზები არ იყოს და ასე აღვილად აქ მოსვლა არ შეიძლებოდეს. მოგეხსენებათ ჩვენი მდგომარეობის ვითარება. წინეთ განწესებული პირებისათვისაც და ადგილობრივი მცხოვრებთათვისაც ძნელი იყო პეტერბურგში წამოსვლა და ამიტომ მორიცებულად იყვნენ. ქალაქდებით მოხსენებას ისე მაინც და-მაინც ვერ ბედავდენ, როცა თავის სარგებლობისათვის საქმის გახრას ლამობდენ. დღეს კი სულ სხვა არის. დღეს მოხსენებას და საჩივარს გამოგზავნის კაცი და თუ არ აუსრულეს მეექვსე დღეს ხლეშას გაადენს — მოგა და როგორ/კ უნდა ისე წაიყვანს საქმეს. არავის ადგილობრივად აღარ ჰკითხვენ კარგად წავა საქმე თუ ავად... დიალ, ერთის მხრით ძლიერ კარგია ასეთი გაადვილება მოგზაურობისა, მაგრამ მეორეს მხრით მავნებელია. ასე ყველაფერში, ყოველი გამოგონება ხალხის საბედნიეროდ უგულო კაცებისაგან მათდა საუბედუროდ იხმარებიან!.. ასე კაცობრიობის ცხოვრება მოწყობილი...

ყველას ეპატივება ეს, მაგრამ ჩვენ, ქრისტიანებს არ გვეპატივება. ჩვენ ქრისტიანები ვალდებული ვართ ივანერულოთ ის მცნება მაცხოვრისა, რომლითაც უნდა ვირჩეოდეთ სხვა მორწმუნებავან. ეს მცნება არის სიყვარული მოყვისისა, — სიყვარული სახარებისებური და არა უბრალო ხორციელებრივი. ზოგიერთ ჩვენგანს ძლიერ უყვარს დედა, მამა, ცოლი, შვილები, ძმები, ნათესავები, პატივისმცემლები და სრული დარწმუნებულია, რომ იგი ჭეშმარიტად ასრულებს ქრისტეს მცნებას და ჭეშმარიტად სახარებისამებრ იქცევა. მაგრამ ტყუვილად ატყუებს ყველას ვინც ასე ასრულებს სახარების მცნებას მოყვისის სიყვარულის შესახებ!.. თავიანთების შეყვარება სრულებით არ არის ქრისტიანობრივი სიყვარული. ასეთი სიყვარული არა თუ მარტო ქრისტიანებს არამედ ყველა ურწმუნო ხალხსაც კი აქვს; ამისთანა სიყვარულს ცხოველებშიაც კი შენიშვათ... ქრისტიანული სიყვარული არ არის იქ სადაც ერთი ბატონობს და მეორე მსახურებს, სადაც ერთს ართმევენ და მეორეს აძლევენ, სადაც მლიქენელობენ, ატყუებენ, ამპარტავნობენ, დიდრაჯობენ და ბატონობენ; სიტყვით ამბობენ, საქმით სხვას მოქმედებენ; სიტყვით მამობას, მზრუნველობას და შებრალებას პირდებიან და საქმით-კი არ ზოგავენ. იქ სადაც ასეთი დამოკიდებულება

სუფევს არ არის ქრისტიანული სიყვარული, სადაც ქრისტიანული სიყვარული არ არის იქ არც ლვთის წამება არის და სადაც ლვთის წამება არ არის რა კეთილს უნდა მოელოდეს კაცი!..

\*\*

სწორეთ გააჭირვეს საქმე ზოგირთი გაზეთის რედაქციებმა გრაფ ტოლსტოიზედ წერით და მისი სურათებით. დღეს რუსეთში ცუკველ ადგილის ხედავთ გრაფ ტოლსტოის სურათებს ახალ გამოცემებში. იგი ერთგან არის დახატული სტუდენტის დროს, მეორეთ ოფიცირის ტრიასამოსში, მესამედვან უბრალო ტანისამოსში. ერთი სიტყვით ათას ორას ნაირად არის დახატული: ცოლშვილში, სადილობის დროს, სეინინბის დროს, ჩაის სმის დროს, შვილებთან თამაშობის დროს, სათბობში თივის თიბვის დროს, მკის დროს, მიწის ხენისა და ფარცხვის დროს, ბუხრის შენობის დროს, ცხენით, კარეტით და ველოსიპედით მოგზაურობის დროს, ავათმყოფობის დროს, წერისა და წიგნების კითხვის დროს. ერთი სიტყვით ყველაირად არის დახატული, აკლია მხოლოდ ერთად ერთი მდგრამარეობის დახატვა როდესაც კაცი ბუნების მოთხოვნილების ასრულებს. ზოგიერთები ისეა გატაცებული გრ. ტოლსტოით, რომ ამ სურათითაც დიდად ისიამოვნებდა, მაგრამ, მათდა სამწერლოდ, გრაფს არ უნებებია ამ სახით გადახატვა... .

ყველა მხატვრობა, სჩანს სურათებიდან, თვით გრაფის ნებით არიან გადაღებულნი და ამიტომ ეს დიდი გამოჩენილი კაცი და შესანიშნავი მწერალი რაღაცა მდაბლებები ამ სურათების გადათვალიერების შემდეგ. სულ სხვა რქებოდა, რომ მისდა უნებურად სხვას გადაეხატა, მაგრამ ეს მხატვრობიდან სრულებით არა სჩანს. ამისათვის ამ დიდ მწერალზე თქვენში იძალება რაღაცა მედიდურობის სურვილი, რომელიც არ შეფერის იმისთანა მწერალს, როგორიც არის გრაფ ტოლსტოი. მაგალითებრ გრაფს დაუხატავს თავი როცა იგი მიწას ხნავს და იმ ტანისამოსში როგორიც აქვთ მხვნელებს, ან როცა თივის თიბავს ცელით ხელში. ამით ვითომ ვრ. ამტკიცებს, რომ იგი ისეთივე მუშა არის როგორც სხვა გლეხები და მართლა მოსწონთ ზოგიერთებს, რომ გრაფი მუშაობას კადრულობს და ის კი არავინ იცის, რომ გრაფი მართლა კი არ მუშაობდა, არამედ დროს გასატარებლად და სიამოვნებისათვის მოკიდა ხელი

სახვნავს და შეიძლება კიდეც გაყვა და ორიოდე კვალი გაიტანა. აიღეთ, მაგალითად, გრაფისაგან ბუხრის კეთება ვიღაცა დედაკაცის სახლში და ისიც იმ დროს როცა მასთან რამდენიმე პირები უნდა მისულიყო. შინ დაიბარა: „ოუ მოვიდეს ვინმე უთხარით, მე ამა და ამა დედაკაცის სახლში ვიქნები და იქ მნახონ“... როცა ეს პირები მოვიდნენ და გრაფი ნახეს, ხელებ გასვრილი ტალახიანი აგურით, გაუკვირდათ. გრაფმაც პოლიში მოითხოვა, რომ ხელები აქვს გასვრილი და ამისთვის ვერ ჩამოართმებს ხელს. ამისთანა საქციელი განა შეეფერება დიდ ბუნების კაცს და დიდ მწერალს? სრულებით არა და მართალი რომ სთქას კაცმა, გრაფი ამისთანა საქციელით თავს იმდაბლებს იმ საზოგადოების თვალში რომელიც ყველაფერს საღის გონებით და ჭკუიანურად უყურებს. ისინი კი ვინც ჭკუაზე შეშლილან გრაფისათვის, რაც გინდათ უთხრათ, არა ფერს უყრადღებას არ აქცევენ. ჩვენ შეგვხვედრია ლაპარაკი ამისთანა პირებთან გრაფ. ტოლსტოის მიმართულებაზე და სწავლაზე, რომელთაც ერთი სიტყვაც არა წაუკითხავთ რა მისი ნაწერებისაგან, მაგრამ მაინც გაიძახიან: ის რასაც სწერს სულ მართლია და იმისთანა მწერალი არც ყოფილა და არც იქნებაო! მოდი და ელაპარაკეთ თქვენ ამისთანა დამთხვეულებს!.. რას შეაგონებთ!.. ამისთანა პირებთან დავობამ მამაგონა ერთი შემთხვევა მღვდლობის სამსახურიდან. მოვიდა ერთი კაცი ჩემთან სააღსარებოთ. მოგამზადე და როცა ლოცვა გავათვე მივეცი ჩვეულებრივი კითხვები. აღმსაჩებელმა დაიჩიქა, ერთი თითი დაადვა ჯვარზე და რაც კითხვა მივეცი ყველაფერზე მომიგებდა ჩე ნეზ თაგი, ნათიშკა (არც უიმისობაა, მამაო). ცოდვებიც დაუსახელე და ვკითხე, ყველაზე მეუბნებოდა: „არც უიმისობა, ე. ი., ეგ ცოდვაც ჩამიდენია“. გავშტერდი. მერე უთხარი: შენ ღირსი არა ხარ ზიარებისა მეთქი და ამაზედაც მომიგო: „არც უიმისობაა, ეგეც ჩავიდენო“. ბოლოს უთხარი ადექით ზეზე მეთქი, და ამაზედაც მომიგო: «არც უიმისობაა, ეგეც ჩავიდენო». მაშინ მიგხდი მის მდგომარეობას და ხელი მოვკიდე და ავაყენ ზეზე. გამოველაპარაკე სხვა რიგათ. შევიცვე, რომ იმას აღსაჩენების თქმა არ სკოდნოდა. ბოლოს განუმარტე ყველაფერი და მხოლოდ მაშინ შეიგნო თუ რა არის აღსაჩენა. ამ კაცის არ იყოს სწორეთ ამ ნაირად იქცევიან

დღეს მრავალნი მოდავენი გრაფ ტოლსტოიზე, რო-  
მელთაც ერთი სტრიქონი მისი ნაშენების არ წაუ-  
კითხავთ; შეიძლება წაეკითხოს, მაგრამ სრულებით  
წაკითხულის არა გაეგებოდეს—რა. ამ დამთხვეულე-  
ბის ჩაგონებას და გამოფხიზებას დიდი დრო დას-  
ჭირდება და დიდი მეცადინეობაც არის საჭირო  
შეგნებული საზოგადოებისა და სამღვდელოები-  
საგან.

\*\*

მოსკოვის ბაზარში ხშირად დააქვთ სხვა-და-  
სხვა პატარა წიგნაკები გასასყიდლად. წიგნაკებში,  
მართლა, არიან ზოგიერთი გვარიანი შინაარსისა  
მდაბალ ხალხთა ჭიუის დამრიცებელი, მაგრამ არც  
ერთი ისე არ იყიდება როგორც გრ. ტოლსტოის  
წიგნაკი „სიყვარული“-ს სათაურით. ეს წ. ვ. ნაკი,  
წარმოიდგინეთ, შესდგება თვრამეტი გვერდისაგან,  
უბრალო ქალალდება და ღირს 25 კ. ამ წიგნაკში  
განმარტებულია ოუ რა არის სიყვარული და ჩამო-  
თვლილია რამდენ ნაირია სიყვარული. არის სიყვა-  
რული ცხოველური გამოწვეული სარგებლობისაგა-  
ნო. მაგრამ ეს ნამდვილი, ჭეშმარიტი სიყვარული  
არ არის. მაგალითებრ, კაცს უყვარს მამა, დედა,  
ცოლი, შვილი, ნათესაობა, ნაცნობები და მოყვა-  
სები, მაგრამ ეს ჭეშმარიტი სიყვარული არ არის. ცოლს  
თუ უყვარს ქმარი მისთვის, რომ ინახვს მას  
და კარგად ცცხოვრებსო ეს ჭეშმარიტი სიყვარული  
არ არის. ჭეშმარიტი და ნამდვილი სიყვარული  
ის არის როდესაც კაცი სხვიდან კი არ ელის და-  
ხმარებას და სარგებლობას თვითონ თავის სიცოცხლეს  
სწირავსო. მაგალითებრ, დედა თავისი სხეულით ზრდის  
შვილსო და მნაირად თავის სიცოცხლეს სწირავსო  
და იმ დედას, რომელიც თავისი ტანით ზრდის შვილს  
ნამდვილად უყვარს იგიო. ეხლანდელი დროის ხა-  
ლხში ჭეშმარიტი სიყვარული აღარ არის, სიყვა-  
რულის მნიშვნელობა დამახინჯებულიათ. მხოლოდ  
მას შეუძლია სთქვის ნამდვილი სიყვარულობა მაქვ-  
სო ვინც თავის სიცოცხლეს სწირავს მოყვისისათვისო,  
ვინც აქვარად ხედივს, რომ სიცოცხლე აკლდება  
საზოგადოების სასარგებლო საქმეზე, მაგრამ თავის  
სიცოცხლეს არ ზოგავსო. აი მხოლოდ ამისთანაებს  
შეუძლია სთქვას, რომ აქვს ჭეშმარიტი სიყვარული  
და ისინი კი ვინც სხვისი კეთილით და სხვისი სი-  
ცოცხლით სარგებლობენ და დღეგრძელობენო, იმათ  
არა აქვთ ქრისტიანული სიყვარულით.

ვისაც სახარების არა წაუკითხავს—რა სიყვარუ-  
ლზე, რასაკვირველია, მოეწონება როგორ წაიკითხავს  
ტოლსტოის განმარტებას სიყვარულზე. მაგრამ ჩვენ  
გვაკვირვებს ამ შემთხვევაში ხალხის უმეტება და  
გრ. ტოლსტოის საქციელი. მეოცე საუკუნეა აგერ  
მას აქეთ რაც ისე ქრისტიანული განმარტობა სიყვა-  
რული, ისე ცხადათ, ისე გასაგებად, ყველასათვის,  
რომ ერთ სიტყვას ვერ მიუმატებს მას ვინც უნდა  
იყოს. წაიკითხეთ მოციქულების განმარტება სიყვა-  
რულზე, წაიკითხეთ მაცხოვრის სიტყვა სიყვარულზე  
და თქვენ დარწმუნდებით, რომ მას ერთ იოტის  
ოდენის ვერას დასძნეს გრაფ ტოლსტოი. რატომ  
არ იხსენიებს გრ. ტოლსტოი საღმრთო-წერილის  
განმარტებას სიყვარულზე? არ იხსენებს მიტომ,  
რომ ის ფასი აღარ ექნება მას მის ბრძან თაყვანისმცე-  
ლების თვალში. თვრამეტ გვერდიანი წიგნაკები  
კავეიკად და ორ კაბეიკად იყიდებიან. გრ. ტოლსტოის  
ეს წიგნაკი კი 25 კ. იყიდება. თუ გრ. ტოლსტოი  
იმ აზრის არის რომ საზოგადოებას მიაწოდოს გო-  
ნების გასანალებლად წიგნები რა აშბავია ამისთანა  
პატარა წიგნისათვის 25 კაპ.? ვიცი ამაზე მისი ბრძან-  
თაყვანისმცემლები გვეტყვიან: ფასის დადება მისი  
საქმე არ არის, ვინც ყიდულობს მის ნაშერებს ეს  
მათი საქმეაო. კარგი, მაგრამ თვითონ რატომ ყიდის  
ასე ძვირად თავის ნაშერებს? უურნალის „ნივა“ს  
რედაქციამ ამას წინედ იყ-და ტოლსტოისაგან და-  
წერილი ანდაზათ სტატია „სამნი ჩვენ ვართ, სამნი  
თქვენ ხართ შეგვიწყალეთ ჩვენ“. (თოე ვას, თოე  
შას იომილ ჰას). წარმოიდგინეთ ამ მოხრობით  
გრაფ ტოლსტოიმ გაატარა ის აზრი, რომ არავი-  
თარი სწავლება საქირო არ არის. უსწავლებლათაც  
ხალხი მშევნიერად ცცხოვრებსო. დიალ, მშევნიერად  
სცხოვრებენ ველური ხალხები! მართალია ბევრს  
ადგრლის, ბრუნდე სწავლა-აღზრდით ამახიჯებენ  
ზოგიერთებს, მაგრამ ამისთვის არავის არ შეუძლია  
ისა სთქვას რომ ადამიანები როგორც ცხოველები ისე  
სცხოვრობდნენ და სწავლა უარ ჰყონ. რას ჩა-  
დიან ზოგიერთები მათრობი სახმელების წყალობით  
და ლვინით? მაგრამ ამის გულისათვის მთლად ვენა-  
ხები რომ გააქრონ მთვრალობის მოსასპობად რა  
კეუ იქნება! ძლიერ ახირებულ ხასიათს იჩენს გრ.  
ტოლსტოი ამ ბოლო დროს. თავის თავს იხატავს  
მიწის მუშავად მთიბავდ, და ამბობს რომ, სრულე-  
ბით არა აქვს ქრისტიანული სიყვარულით.

ბევრი მაინც არა არის-რა საჭიროვო, სულ სამი ალაბი მიწა არის საჭიროვო. მე რაც მაქვს ის ჩემი ცოლ-შვილის არისო და არაფერი მე აღარ მეცუთვნისო, მე ისინი მარჩენენ და ისინი მივლიან თითქმის სა-მოწყალოდო! საზოგადოებაში სასირცხოდ არის მიჩნეული გაკოტრების დროს უოველივე ქონების გადაცემა ცოლზე და ზოგიერთებს თურმე სასახე-ლოდ მიაჩნიათ!..

სოფლის ხუცესი.



## ორიოდე ციტივა ქუთაისის საზოგადოების სახლის აზენეზის ზესახებ.

ჩვენმა მკითხველებმა იციან თუ რამდენი ლა-პარაკი და წერა იყო ქუთაისის სასულიერო სახლის ასაშენებლად ადგილის გამორჩევაზე. ზოგიერთებმა საფიჩნის ადგილი მეტის-მეტად მოიწონეს. ჩვენ უოველთვის წინააღმდეგი ვიყავით ამ ადგილისა, რადგან უვარგისად ვსცნობდით მას სემინარიის სა-ხლის ასაშენებლად. ზოგიერთ პირებს ძლიერ მოს-წონდათ ეს ადგილი, რადგან წყალშითელი ახლოს იყო და საღამობით ტანის პინაკია და დროების გატარება შეიძლებოდა მოსწავლეთათვის და სხვა რამდენი წარმოდგენა პერნდათ კიდევ ვინ მოსთვ-ლის. ამ ორი-სამი პირების სურვილმა გადასძლია და გააბათილა უოველი გონიერი მსჯელობა ადგი-ლის გამორჩევის შესახებ. მოშორდენ სულ ქუთაისის ეს პირები. სხვა პირების შეხედულობით დღეს საფიჩნის ადგილი ვუარგისი შეიქმნა და სემინარიისთვის სხვაგან ექცევა ადგილს. მონახეს კიდეც, მაგრამ ოც-და-ათი ათასი მანეთია საჭირო მის მოსაპოებლად!..

განსვენებულ გაბრიელს წინადადება მიეცა, რომ სეინიარიის სახლის გეგმა შეედგენინებინა ხუ-როთ-მოძღვრისათვის და წარედგინა სინოდისათვის. ყ-დ სამღვდელო უარს იყო ამაზე და ითხოვდა, რომ თვით სინოდს იქვე მიენდო სემინარიის სახლის გეგმის შედგენა, რადგან მოსალოდნელი იყო ქუ-თაისში შედგენილი გეგმა და ეწუნებიათ. მოითხოვეს, რომ უთუოდ აქ შეედგინათ. შეადგენინეს ხუროთ-მოძღვარს სახაროვს, რომელსაც ქირად მისცეს 1,000 შ. წარადგინეს გეგმა, მაგრამ პეტერბურლში დაიწუნეს

და დღეს სინოდის ხუროთ-მოძღვარს პავლოვსკის აქვს მინდობილი სულ ახალი გეგმის შედგენა. ხუროთ მოძღვარი დღეს გახერხებულია, რადგან ადგილის ყიდვის საქმე არ გათავებულა. და როდეს გათავდება ადგილის ყიდვა ჯერეთ არავინ არ იცის. ასე ტყუვილად დაიღუპა თასი მანეთი.

რა კარგი იყო, რომ ჩვენი მოსაზრება და რჩევა მიეღოთ ადგილის გამორჩევის შესახებ!.. მაშინ მშვენიერ ადგილზე ქალაქი აძლევდა სემინარიის სახლის ასაშენებლად ადგილს, იმ ადგილის ახლო, სადაც დღეს ყიდულობენ საღორიის დახაზე. დღეს ქალაქს შეუძლია ცოტა და შორებით მისცეს ადგილი. წინეთ შენაძლევი ადგილების მიცემაც კარი შეუ-ძლია, რადგან საიჯაროდ აქვს გაცემული და უკვე დაესახლენ კიდეც ბევრნი. დიალ, წყალწითე-ლას მდინარის პირის მინდვრებმა ჩაშალა კეთილი საქმე, დაუკარგა მშვენიერი ქალაქის ადგილები რომელიც ქალაქს მუქთად შეეძლო დაეთმო სემი-ნარიისთვის. ასე ჩაიშლება ყოველი კეთილი საქმე, როდესაც საქმეში ჩაერევიან ისეთი პირები, რომე-ლნიც დღეს აქ არიან და ხვალ სად იქნებიან არც თვითონ იციან, ან და როდესაც საქმეს თაობენ ისეთი პირები, რომელთაც გული არ შესტკივათ ხაზინის ფულზე.

მაღლობა ღმერთს, რომ სემინარიისათვის უხე-რხულ ადგილზე ნაყიდ ალაგს ფასი არ დაკლებია! თუ ფასი დამცირებულიყო ამ ადგილის მაშინ, რა-საკვირველია, დირად სამწუხარო იქნებოდა. დღეს, როგოც ამბობენ, ბევრად მეტი ფულები შეუძლიათ აიღონ ამ ნაყიდი ადგილიდან მაგრამ 30,000 მანეთის მოთხოვნა მარტო ადგილის სასყიდლად სინოდისა-გან შეუძლებელად მიგვაჩნია. ჩვენის აზრით, პატარა რომ გამოიწიონ საღორიის „დახაზე“ მუქთად შეი-ძლება დაუთმოს ქალაქმა ორი-სამი „დესეტინა“ მიწა...

დეპ. დ. დამბაშიძე.

## მოსესენება ჩართულ მუნიციპალიტეტის ბერლინის აკადემიაში.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ში დაბეჭდილია ბერ-ლინის აკადემიის ანგარიში, რომელშიაც გამოჩენილ პროფესორის პარნაკის მოხსენება აღნიშნავს, რომ სამეცნიერო კვლევა-ძიებას უჩნდება ახალი საგანიო.

ეს საგანი არის ძველი ქართული და სომხური მწერლობა, რომელიც გერმანიის ძველი კულტურის კულტივისათვის ისე შეკვეშირებულია, როგორც მონათესავე ხალხების კულტურის ნაწარმოები.

პარნაკმა მოიხსენა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორ მარის ანგარაში, იმისი და პრივატ-დოკურტის ჯავახაშვილის მოგზაურობა სინა მთაზე და იერუსალიმს. გ ნ მარის ანგარიშიდან სჩანს, რომ ძველ საეკლესიო მწერლობიდან დაშთენილა ქართულ ენაზე ფრიად შესანიშნავი წიგნი პირველ ქრისტიანთა მამათ ცხოვრებიდან, რომელიც შესანიშნავი ერთად-ერთი წიგნია პატრისტიკის მწერლობაში. ზოგი მათგანი ბატონ მარს გამოუყია დედნად ქართულ ენაზე რუსულის თარგმნით.

ამ უამად ბატონი ბონვეჩი (Bonvetsch) შესდგომია იძოლიტის ნაწერების გამოცემას, რომელიც დარჩენილია ქართულ ენაზე. ბერლინის აკადემიის კომისიამ მიანდო მღვდლელს კარტელაშვილს რუსულად გადათარგმნა; აქედან ბატონი ბონვეჩი გადასთარგმნის გერმანულად.

პარნაკი დაასკვნის: მარის გამოკვლევა ცხადად გვაჩვენებს, რომ ქართველობა ეკუთვნის დიდ ბერძნ-ქრისტიან ხალხების ოჯახსა.

ბოლოს პარნაკი მოუწოდებს ახალგაზღა მეცნიერებს და ჰერიტეტოლობს: მოიპოვებიან თუ არა გერმანიის მეცნიერებში მოხალისენი, რომ შეისწავლონ ენა, ლიტერატურა და ისტორია ამ ხალხისა, რომელიც ძველის კულტურით ჩვენთან მონათესავა, და გაგვაცნონ იმათ მიერ შენახული საუნჯეო. ამ გვარად, დასხენს პარნაკი, გერმანიის აკადემიის უწინდება ახალი საგანი სამეცნიერო კვლევა-მიებისათვის.\*) (ცნ. ფურ. ").

## საიდგან ჭარბოსდგება სოფლის მკალევიების უზარბისობა?

(რუსულით).

სამწუხროდ ხშირად გვესმის ხოლმე სოფლის ტაძრის არა სასურველი ყოფა-მდგომარეობა, რომლის ბრალს აღებენ სამღვდელოებასა. მაგრამ ეს

\*) ძლიერ სასიმოვნო იქნება თუ დროით ასრულდა განზრახული გამოკვლევა თორემ ბევრი რამ ჩვენში ცოტახნის შემდეგ აღმოიფხვრება და წაშლება სრულებით.

რედ.

მნიშვნელი და აუტიანელი საყვედურია და სხვა არაფერი. ამის მიზეზი სულ სხვაა. ეკკლესიების აღშენების დროს ყურადღება არ არის ხშირად მიქცეული ზოგიერთს წვრილმანებზე, რომელნიც ცალ-კერძო შეხედულობით იმდენი ღირს შესანიშნავი თითქო არ არიანო, მათზედ კი არის დამოკიდებული საქმე. აი ამ წვრილმანებზე გვინდა ჩვენ ვსოდეთ რამოდენიმე სიტყვა.

შეადგენენ ეკკლესიების გეგმათა ატლასებსა, რომელიც წინ-და-წინ განიხილვებიან კონსისტორის მიერ, ეპარქიალურ ხეროთ-მოძღვრისაგან, ადგილობრივ მსჯელობას იქონიებენ და სხ. ყველაფერი კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ეს კიდევ არ კმარა საჭიროსთვის. წა-და-უწინმ გვეტმის: ახალი ეკლესი გაირღვა, შელესილი კირი ჩამოცვინდა, კანკელის მოოქრული გახუნდა და ზოგინ ხატებიც გაფუჭდენო. იშვებენ ხელ-მძორეულ ახალი ფულების ამკრებნი მოგზაურობას რუსეთის არე-მარეში, ქალაქიდან ქალაქში, უსიამოვნებას უსიამოვნება მოსდევს მღვდლისათვის... საიდან წარმოსდგება ეს? განა მარტო მღვდლის თვალ-ყურის დაუგდებლობისა და სტატის საქმეზე დ გულ-გრილობის გამოხენის გამოა? არა, ამაში ამშენებლებს არაფერი ბრალი არ მიუძღვისთ. ეს იქიდამ წარმოსდგება, რომ ეკვესიების აღშენების დროს ნაკლები ურადღებას აქცევენ იმ აღგილის გეთგრაფიულს მდებარეობას, სადაც ეკვესიის აგება განზრახულია. ტაძარს აშენებენ ჩქარის მდინარის უმახლობელების ნაპირზე. სამრეკლო იმის სიმაღლეა გეგონება თავი ცაში აქვს მიბჯენილიო. მართლაც კარგი სანახავია. ერთიც ვნახოთ ცალრუბლით შეიმოსა, იელვა-იჭექა, გავარდა მეხი და ეკკლესიას გარშემო ალი შემოქრტყა სავალალოდ მოძღვრისა და დარიბ-დატაკი მრევლისა... ავილოთ მეორე სოფელი. მიღიხართ იქა და ეკკლესიას ვერსადა ჰედავთ: თითქო სახლებში იმაღებაო. დილით სახლების ბოლოი გამურული ეკკლესია, ისიც დაბალი შავად და ბრელად გამოიყურება. მართალია მდიდარს აღმაშენებებს სურდა თავის სოფელში გამოეჭიმა პეტერბურგის „ზნამენის“ ეკკლესიის მინაგვარი და მანებლობას თუ ნახვიდა ამისგან ის კი აღარ ეგონა. ხუთი-ექვსი წლის შემდეგ ამ ეკკლესიის ნანგრევს-და ხედავთ. აბა ზოგან გეგმაზე არ იყოს მიმდგარი საქმე, კარგად იქნებოდა მაშინ. თავი და თავი საქმეა ეკლესიების აგების დროს მიექცეს ყურადღება გეო-

გრაფიულს პირობებსა: რამდენადაა დაცილებული ესა თუ ის აღვილი ზღვის ფსკერიდამ, ახლოა თუ არა მდინარეზე, ნიადაგი როგორია, იშის ზემოთ რამდენით შორავს ჭაობები, ტყე ახლოს არის? დაბალი ეკლესიები სჯობია ბიზანტიის გეგმაზედ მაღალს აღვილებში. მაშინ ის არც სახლებში მიიმალებოდა და არც მეხი დაამსხვრევდა; მაღალი ეკლესიები-კი უნდა შენდებოდეს დაბალს აღვილებში. ჭვით-კირის შენობანი არც თუ ისე გამოსადევი არიან ჩრდილოეთ ზღვების ახლო მდებარე აღვილებში და იქ, სადაც ნესტინი ქარი იცის. ჭვით-კირის ეკლესია ნესტიანს აღვილებში ობს იქნება: ამის გამო რომ ფუჭდება შესამოსი ნივთები და ხატები; რაც უნდა ატფუნონ ისინი მაინც არა გამოვა-რა.

რუსეთის ეკლესიები შენდებიან ჩამოთხოვილი ფულით, შემოწირულებით. სოფლის სასამროლოები, პურის ბეღლები და შკოლები შენდებიან საზოგადოების ფულით. მავრამ ეკლესიები-კი უეჭველად ჩამოთხოვილი ფულებით შენდებიან. კაცმა რომ სიმართლე სთვას როგორც ზემოდ მოყვანილი შენობებია საზოგადო ისე ეკლესიებიცა. როგორც პირველს შემთხვევაში უშემწეოო გამოვლივარო ისე რომ ეკლესიის საქმე იყოს დამდგარი, სწორეთ სასურველი იქნებოდა. ფულების ამკრებლებზე ბევრს სწერენ და ამისათვის ჩვენ აქ აღარ გავიმღორებთ ერთსა და იგივეს. ყველაზედ კარგი იქნებოდა თუ ავიცილებდით თავიდამ მისთანა მოვლენას, როგორც არის შემწეობის გამოთხოვა. შემოწირული ფულით ი როგორ შენდება ეკლესიები! ხანგძლივის სიარულის შემდეგ ამკრებნი 4—5 ათასს მანეთს რომ თავს შეუყრიან, იწყებენ ამ თანხით ეკლესიების შენობას, ააშენებენ თუ არა გვარიანა ეკლესიას, რამოდენიმე წლის შემდეგ, ეკლესია იგი მრევლის სიმცირისა გამო ეცემა. საკუთარის საშუალებიდან რომ შენდებოდენ ჩვენი ეკლესიები, ხაზინის ტყის შემწეობით, მაშინ ეკლესიაც კარგი იქნებოდა და მისი მუდმივი არსებობისათვისაც გვექნებოდა საშუალება. აბა რას მოასწავებს დიდი ბრწყინვალება და სიძვირფასე ეკლესისა—ღვთის ცემრება ხომ პატარა ეკლესიაშიც შეიძლება: იქიდამაც კარგად ისმენს ის მორწმუნე ერის მხურვალე ლოცვას. ამისათვის ძრიელ სასურველი იქნებოდა, რომ მრევლი თვისის საკუთარის საფასით ააგებდენ ეკლესიას, როგორც ამას ჩადიან საქართველოში. კონდაკების

მიცემა უფრო გაძნელებული უნდა ყოფილიყო, მხოლოდ მაშინ უნდა გაიცეს ეს წიგნები, როდესაც ერთი ცნობილი თანხაა მოსაპოებელი. ამგვარად აშენებული ეკლესია თვისს შესანახადაც ცოტა შრომას მოითხოვდა და მოძღვარსაც უსიამოვნება ასცილდებოდა. აშენებენ კიდევ ეკლესიებს ზოგიერთი ფილანტროპი. აქაც ხშირად ისეა დაყენებული საქმე, რომ მღვდელს მძიმე ტვირთად უხდება ხოლმე ის. ჩვეულებრივ რომელიმე ქველ-მომქმედი აშენებს ეკლესიას და ყველაფერში შემდეგ, მისი სურვილი უნდა ასრულდეს. ქველ-მომქმედი კი ირჯება თვისის გმოსა და საშუალების მიხედვით. მრევლი სრულებითაც არა ჰყავს სახეში მას. ძრიელ ღიღი იქნება, რომ მერე უზრუნველ-საყოფალად—ისიც იშვიათად—დაუნიშნოს მან ათასი მანეთი. მოათავებს თუ არა იგი ეკლესიას, დიდის ამბით აკურთხებინებს, გაუკეთებს სალაროს და მოუპოებს ნივთებს. გავა რამოდენიმე წელი: ვნახოთ ყველაფერი გაცვალა, საშუალება არ არის ახალის შეძენისთვის. ამისთანა შემთხვევაში ცხოვრება გამოიწვევს ხოლმე ახალს მოთხოვნილობებს: უნდა განისაზღვროს სისწორით როგორც ეკლესიის აღმაშენებლის უფლებანი და მოვალეობანი, ისე კრებულისა და მრევლისა. ამავე დროს ნამდვილად უნდა აღინიშნოს ნამდვილი ჯამი: რაოდენი მოუნდებოდა ქველ მომქმედს აშენებული ეკლესიის შესანახად. უნდა შეეკრან პირობით მას: თუ ვისმეს ჭიშრის თვისს გეგმაზე მბეჭდების აგება იმას საჭირო თანხაც უნდა დაუდოს მას (ამოდენი-და-ამოდენი) შენობისა, სალაროსი, ნივთებისა და კანდელისათვის განსაზღვრული თანხა უნდა იყოს გადადებული.

ასე თუ დავაყენებთ საეკლესიო სააღმაშენებლო საქმეს ბევრს უსწორ-მასწორობას აღვილი აღარ ექნებოდა მაშინ იქა და მრავალი უსიამოვნები, ფიქრნი, მწუხარებანი და ცრემლნიც ასცილდებოდენ თავიდამ ჩვენს მრავალს წამებულს სოფლის სამღვდლოებას.

მღ. კ. ანთაძე.

ვლადიკავკაზის მცინოვოსის ვლადიშის  
10 წლის იუბილე.

წელს შესრულდა ათი წელიწადი, რაც კავკაზის ე.ისკოპოსმა ვლადიმირმა ეპისკოპოსობის ხარისხი მიიღო. 10 წლის იუბილე იღლესას წაულეს 15 სექტემბერს. ამ დღესასწაულმა მოიზიდა მთელის ეპარქიის წარმომადგენელნი, ადგილობრივ ადმინისტრაციის წარმომადგენელნი, სასწავლებელთა უფროსნი, სახალხო სკოლების დირექტორი, ქალაქის მოურავი, კერძო სასწავლებელთა გამგებელნი და სხვანი. წირვა შესრულა არდონის სემინარიის რექტორმა არხიმანდრიტმა ნიკოლომე დეკანზეს თანამშირველობით. წირვის შემდეგ იუბილიარმა თვითონ შესრულა სამაღლობელო პარაკლისი მთელის სამღვდელოების თანადასწრებით. პარაკლისის შემდეგ ეპისკოპოსი საეპარქიო სასწავლებელში გაემგზავრა, სადაც საუზმე იყო გამზადებული. შემდეგ მიართვეს ადრესები და მილოცვები. პეტერბურგის მიტროპოლიტისაგან მოვიდა მისალოცავი დეპეშა; მთელმა ეპარქიის სამღვდელოებამ მიუძღვნა ძვირფასი პანგია; კავკაზის სამღვდელოებამ ადრესი; ოსების სამღვდელოებამ მიართვა აგრეთვე ადრესი; არდონის სემინარიის რექტორმა ადრესი; ადგილობრივ ბერძენთა საზოგადოებამ ადრესი; ქართველმა საზოგადოებამ მშვენიერი ძვირფასი ქარვის კრიალოსანი და სხვა. სიტყვით მიმართეს: ოლქის უფროსმა, იმისმა თანაშემწერმ, ქალაქის მოურავმა და სხვ. ეპისკოპოსმა ყველას მაღლობა გადაუხადა და დალოცა.

გამოცანა.

დადებულთაგან გლასხაგამდის  
მას მიეღოვას უველა სული.  
არას შეუვენ ძალს და დონეს  
შეიძინონ ბლობად ...

წარჩინებულთ შირქშით შორის  
ოს ატელება ბრძოლა რთული,  
მაშინ იმათ სახეში აქვთ  
შეიძინონ ბლობად ...

სამსახურით დადგაცხად  
რომ მიიღონ, იქმნენ სრული —

მისთვის უნდათ, რომ იმითი  
მოიხვეჭონ ბლობად ...

თუგინდ შირი, უმეცრული,  
განდეა ბრძენი ჩინებული,  
ვარს არა ჭეოფს შეიძინოს,  
მოიპოვოს ბლობად ...

კველას უნდა, უველა ნატრობს —  
გლობა, კარგი, დადებული,  
არც ვის არის რომ კმა ეუს  
აზოში ქონდეს ბლობად ...

სიტყვით ველას იგი უნდა,  
მისი არის მოუვარული;  
განურჩევლად ტომ. სქესების  
ველას უნდა ბლობად ...

კარგიც ძალუქმს და ცუდიცა,  
ხამს მომხმარე ბრძენი, სრული,  
თორეშ უშვებას ბეჭის ჩაიდენს  
ვის უპერიეს ბლობად ...

ვის დვითის სათხოდ, მოუვის სარგებ  
აქვს ნაპონი შეწირული, —  
შეთხოდ იმას მოუმჴია  
ცეცისა და ქვეუნის გუდი!..

\* \* \*  
ამისსენით ეს მაქნის,  
გამოცანად გამოთქმული,  
რა იზიდაგს ასე უველას,  
ან სახელად რა აქვს ოქმული?..

როსტომ — გუდა

ო მ ი.

წეტავ რისგან წარმოსდგება  
ის საგმიბი ბრძოლა, ამი,  
თუ არ ჟინის ასრულების —  
ან მოხვების არ არს მდომი!

არა სჯობს, რომ დაგამჴართ  
მშვიდობა და სათხოება,  
რ-ლიც არს თვით მაცხოვრის  
ნასწავები დადი მცნება?



არა სჯობს, რომ სისხლისაჭიდ  
ხაფხა სუამდეს ნექტარ წყაროს,  
მათ საქთო დგაწყვ-დებაში  
სათხოება დაქმჩაროს?

—  
სისხლ დადგრითი თმით ძლევა  
უგუნურის ფარ-ხმადა;  
განთლების სხივით ბრძოლა  
შეცნიერის ნახმარია!..

—  
დიახაც სჯობს, რომ ეს სხივი  
ჩეენს გონებას მრთლივ მოვთინოთ!  
გულის მგმერი თმის საცვლად  
სიყვარული აღვადგინოთ.

—  
მამ ამ გრძნობით, კეთილ-ცნობით  
განვდეგნოთ რაც საფნებია,  
რადგან მუჟდოდ ცხოველების გზა  
ტკბილ ნაჟაფის თავდებია...

როსტომ — გურა.

### უშარისლ-გაზეთისილან.

**მაკელონია.** იმ რას თხოულობს მაკელონიის  
კომიტეტი: ევროპიელთა და ოდილობრივ ხალხის  
წარმომადგენელთაგან შემდგარმა კომისიამ ექვსის  
თვის განმავლობაში ისმალეთის მთავრობის თანხმო-  
ბით ოთხისავე პროვინციისათვის შპართველობის  
პროექტი უნდა შეიმუშაოს. ამ პროექტს საფუძ-  
ვლად ის პროექტი უნდა დაედუას, რომელიც 1880  
წ. საერთაშორისო კომისიამ სტამბოლში შეადგინა.  
სანამ ახალ პროექტს შეადგენდნენ, ოთხისავე პრო-  
ვინციის ეს კომისია განავებს. ამისათვის ოთხივე  
პროვინცია ევროპის საერთაშორისო რაზმა — 45  
ათასმა კაცმა — უნდა დაიჭიროს. ეს ჯარი ნებაყო-  
ფლობით შესულ ჯარის-კაცებისაგან. უნდა იყოს  
შემდგარი; ამ ჯარის ოფიციები და გენერლები ერთმა  
რომელმამე ნეიტრალურმა სახელმწიფომ უნდა და-  
ნიშნოს. ამ ჯარს პროვინციები თავიანთ ხარჯით  
შეინახავენ. სინამ კომისია მუშაობას არ გაათავებს,  
ჯარი პროვინციებში უნდა იდგეს. რა წამს ეს ჯარი

შესდგება, ხონთქარმა მთელი თავისი ჯარი უნდა  
გაიყვანოს, საზღვრის მეციხოვნე რაზმების გარდა.  
როცა ოსმალოს ჯარი გავა, 14 დღის შემდეგ ად-  
გილობრივი ხალხი დელეგატებს იირჩევს. ოსმალე-  
თისა და სხვა სახელმწიფოების შუა დადებულ ხელ-  
შეკრულობას ყველას ძალა ექნება ოთხის პროვინ-  
ციისათვის. პროვინციები მოვალენი იქმნებიან,  
უცხოელებს ყველა ის უფლება და უპირატესობა  
მიინიჭონ, რაც ოსმალეთის მთავრობისაგან აქვთ  
მიცემული. ოსმალეთის მთავრობისა და რკინის  
გზების კომპანიებს შუა დადებულ ხელ-შეკრულობას  
პროვინციები მტკიცედ აასრულებენ. კომისია გადა-  
სწყვეტს, ოსმალეთის სახელმწიფო ვალიდან რამდენი  
უცხვლება პროვინციებს, გადასწყვეტს აგრეთვე,  
პროვინციებმა რამდენი უნდა იძლიოს ხონთქარმა  
ჯამაგირი და ოსმალეთის ჯარისა და ფლოტის ხარ-  
ჯიდან რამდენი უნდა იკისრონ თავიანთ თავზე.  
ევროპის პრესა ერთხმად ამბობს, კომიტეტის პრო-  
ექტი მეტად გონივრული და ხომიერია; ეგ არის  
ზოგიერთ გაზეთს იმედი არა აქვს, რომ ხონთქარმა  
ეს პროექტი აასრულოს, სანამ დიღი სახელმწიფოები  
ძალას არ დაატანენ.

„ნიუ-იორკ ჰერალდ“-ს სალონიკელ კორესპო-  
დენტს მაკედონელი რევოლუციონერები გაუცვნია  
და მაკედონელ პარტიაების ისტორია მოკლედ აუწე-  
რია. კორესპონდენტი სწერს:

„ერთხელ მთელი დღე სამ ბოლგართან გავა-  
ტარე ერთი სარაფულის პარტიის წევრი იყო,  
მეორე — ცენტრალურ პარტიისა და მესამე უკიდურეს  
ანარქისტულ პარტიისა. ამ ბოლგარებმა დაწვრილე-  
ბით გამაცნეს თავიანთ პარტიების ორგანიზაცია.  
ჯანყება რომ დაიწყო, პარტიები სულ ერთმანერთის  
მტრობას უნდებოდენ, მაგრამ ეხლა ყველანი შე-  
ერთდნენ და რევოლუციონერებს ეხმარებიან.  
ცენტრალური პარტია უმთავრესად განათლებულ  
ბოლგარებისაგან შესდგება. ეს პარტია პირველად  
განსვენებულმა სტამბულოვმა დაადრსა. სოფიის  
უნივერსიტეტი ამ პარტიის ემხრობოდა. სტამბულოვი  
იმ აზრისა იყო, რომ მაკედონია ოსმალეთის მთავ-  
რობის ხელში უნდა იყვესო. განსვენებული მინის-  
ტრი დარწმუნებული იყო, რომ თავაზიანის ქცევით  
ყველაფერზე დავითანხმებთ ხონთქარმა; მაკედო-  
ნელ ბოლგარების ყოფასაც ხონთქარის შემწეობით  
გავაუმჯობესებთო. სტამბულოვის პარტია თავის

საწადელს უსათუოდ აისრულებდა, მაგრამ მაკედონიის საქმეში რუსეთი და სამღვდელოება გაერიცნენ და სტამბულივს ხელი შეუშალეს. სტამბულივის პროექტი რომ ასრულებულიყო, რუსეთს ხელი უნდა დაებანა ბოსფორსა და სტამბოლზე, სამღვდელოებას კიდევ ხელი უნდა აეღო მაკედონიის სკოლებზე. ამიტომ რუსეთი ტა აქაური სამღვდელოება დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ სტამბულივს. სტამბულივის მოკვლის შეძლევ, იმისი პარტია ორ ნაწილად გაიყო: ერთმა ნაწილმა სტამბულივის პროგრამას არ უდალატა, მეორემ კი სარაფოვის პარტიის სახელი დაირჩვა, მაკედონიაში დიდი აგიტაცია გამართა, ბერლინის ხელ-შეკრულობის ასრულებას თხოულობდა და ცდილობდა, რომ ევროპა მაკედონიის საქმეში გარეულიყო. შესამე ანარქიული პარტია ეხლახან დაარსდა. ამ პარტიის წევრები სულ უკადურესი რევოლუციონერები არიან: ესენი ამბობენ, მაკედონიის განთავისუფლება მარტო ანარქიულ მოქმედებით შეიძლება. ეხლა სამივე პარტია თანხმობით მოქმედებს და საერთო შტერს — სმალეთს მედგრად ებრძევის.

ინგლისურ გაზ. „დელი ნიუს“-ის კორესპონდენტი სწერს: ერთი გერმანელი ოფიცერი ეს არის ეხლა მაკედონიიდან სტამბოლს დაბრუნდა და ამბობს, რომ მაკედონია საშინალი შეწუხებულია. ინგლისური გაზეთი დიდ მნიშვნელობას აძლევს გერმანელ ოფიცირის ნაამბობს, რადგან გერმანია ძლიერ ექო-მაგება სმალებს და ყოველთვის შეტად აქტას სმალურ წესებს.

\* \*

**ბულგარია.** სოფიის გაზეთების სიტყვით, სა-სოწარკვეთილ მაკედონელებს მიუმართავთ მეამბოხეთა შინაურ ორგანიზაციის წარმომადგენელ, ღოქტორ ტატარჩევისა და მიტოვისათვის, — რადგან მართლმადიდებელი ეკკლესია სრულიად უძლური აღმოჩნდა და ვერავითარ მფარველობას ვერ გვიწევს ასეთ გაჭირვების დროს, როცა უწმინდურნი სმალენი ჰბილწავენ და აბინძურებენ მაკედონიის ტაძრებსა და სალოცავებს, გთხოვთ მიშმართოთ რომის პაპს და მფარველობა სთხოვთ, რათა დაიცვას მართლმადიდებელნი ბულგარნი და მათნი სალოცავინი უსჯულოთა შემწიკვლისაგანაო.

მზად არის თუ არა ბულგარია ამ ეამად სმალეთთან ომისათვის? მცოდნე კაცნი ამბობენ, რომ

სრულიად მზად არის და დიდი იმედიცა აქვს, რომ გამარჯვებული დამოვა ამ ომიდანაო. ბულგარიას უკვე დაუმთავრებია თავის მხედრობის შეიარაღება; რაც-კი რამ შეკვეთილი ჰქონია მხედრობისათვის საზღვარ-გარედ, ყოველივე მიუღია. მცირე რამ არის დარჩენილი, მაგრამ ის მერეც შეიძლება მი-ვიღოთ, — ჯერჯერობით საჭირო არ არისო. ასმა-ლეთს ჰყავს, — თუ აზისი სამფლობელოებს არ ვინგარიშებთ, სამასი ათასი ჯარის-კაცი. ამათშორის ჩვენს საზღვრებზე 60,000-ია მხოლოდ. ჩვენ-კი 96,000 კაცი გვყავს საომარ ფეხზე დაყენებული. გვაქვს 100,000 თოფი მანიხერისა და 50,000 ბერლანისა. 10 მილიონი პატრონაც უკვე მივიღეთ. ასი ათასს კაცს კიდევ საომრად 24 საათში მოვაჭ-ზადებთ. მაკედონიის აჯანყებულნი წინ გაგვიძლე-ბიან. ბილიკებით გადავივლით მოებს იმათის შემწე-ობით. თუ დავახანეთ, ბევრს წავაგებთ. ასმალეთი შეკრებს აზიიდან ჯარებს და მაშინ ძელი იქნება ბრძოლა. ან როცა მაკედონელთ ამოსწყვეტენ, რი-ლასთვის-და უნდა ვიმოოთ. ჯარი მზად არის, ალ-ფრთოვანებულია და ომს მოწყვეტებული, და დაყოვ-ნება სრულიად არას გვარგებსო.

\*

**ოსმალეთი.** ხონთქარი მოუწვევია გერმანიის იმპერატორს, ბერლინში მნახეო. — ალბანიაში მო-სალოდნელია საერთო აჯანყება. მომზადებული აქვთ მხელოდ თოფები, თოფის წამალი და უფრო დინა-მიტი. ჯერ ალბანელნი თხოულობენ ავტონომიას და გუბერნატორს ქრისტიანეთაგან. ბოლოს და ბოლოს იმათი გულის ნადები ის არის, რომ საბე-რძნეოს შეუერთდნენ.

— ამბობენ, რომ ხონთქარმა სთხოვა გერმანიის იმპერატორს, — მირჩიეთ, რა ღონისძიება მივიღოთ მაკედონიაში მშვიდობისანობის დასამყარებლადო. ხონთქარი არ არის წინააღმდეგი, რომ მაკედონიას ავტონომია მიენიჭოს.

— მაკედონიის კომიტეტების პრეზიდენტს ქრისტო ტატარჩევს უთქვამს, რომ ჩვენ არავითარს ყურად-ღებას არ ვაქცევთ სმალეთისა და ბულგარიის მოლაპარაკებებას. მაგ მოლაპარაკებით სმინეთს უნდა დრო მოიგოს და სულ ამოსწყვიტოს ამ ხნის განმავლობაში მაკედონელნიო.

\*

**ჩრდილოეთი.** ბერლინის ოფიციალურ გაზ. „პოსტ“-ს ცეტინიიდან ატყობინებენ:

მაკედონიისა და ძველ-სერბიის აწინდელ მდგო-  
მარების შესახებ სჯა-გაასის დროს ჩერნოგორიის  
მთავარმა სთქია, — თუ ოსმალეთის მთავრობაშ ვერ  
შეიკავა ოსმალი ჯარის კაცები და ალბანელნი და  
ქრისტიანთა ულეტა-წამება კიდევ გავრცელდა,  
სერბიასა და ჩერნოგორიის წმინდა მოვალეობაა მაღა-  
მიეშველონ გაჭირვებულ თანამომეებსათ.

\* \* \*

ინგლისის მეფე, ედუარდ VII-ის  
ვენას მისვლას და იმპერატორის ნახვის საზღვარ  
გარეთელი გაზეთობა და აგრეთვე ავსტრიისაც, დიდ  
პოლიტიკურ მნიშვნელობას აწერს, მით უმეტეს,  
რომ ახლა მაკედონიის საქმე უფრო გამწვავებულია.  
იმასიც აღნიშნავნ, — რუსეთი და ავსტრია თანხმო-  
ბით აღარ მოქმედებულია.

გამ. „ზეიტ“-ი აღნიშნავს, — ამ უკანასკნელ  
ხანში ავსტრიის ოფიციალური გაზეთების აზრები  
სრულიად განსხვავდება რუსეთის ორგანოებისაგანათ.

\* \* \*

ბელგრადში სახალხო კრება შოუზდე-  
ნიათ და მაკედონიის საქმეზე მოულაპარაკინიათ,  
კრებას დაუდგენია: „სერბიის ერი არ მოითმენს,  
რომ იმის თანამომეები ოსმალეთში თან-და-თან  
უარეს გაჭირვებაში ვარდებოდნენ. ეხლა დამტკიცდა,  
რომ ოსმალეთის მთავრობას რყფორმების ასრულე-  
ბის თავი არა აქვს. ბალკანეთის სლავიანები ყველანი  
მოვალენი ვართ მოვითხოვთ, რომ მაკედონიის  
დაშვიდება ჩვენ მოვანდონ. ძველ სერბიის მცხო-  
ვრები ჩვენ უნდა ვიხსნათ ოსმალთ ჯარის უდივ-  
რობისა და რევილიუციონერ ბოლგარების ძალ-  
მომრებისაგან“. თუმცა ბელგრად ეჩვენა,  
მაგრამ კრებამ მაინც მიიღო ეს რეზოლუცია.  
კრების დროს ამბავი მოვიდა, ოსმალის მუდმივმა  
ჯარმა და ალბანულებმა საზღვარზე ერთი მონასტერი  
დაანგრიესო. კრების შემდეგ ახალგაზღობა ოს-  
მალეთის საკონსულოს წინ დეკონსტრუქციის მოხდე-  
ნას აპირობდა, მაგრამ ნება არ მისცა.

\* \* \*

რუსეთის გაზეთებში დაწვრილებითა ცნობებია  
დაბეჭდილი გომელში მომხდარ უწესოების შესახებ.  
ბაზარში მომხდარ ჩხების დროს ერთი ადგილობ-  
რივი ინჟინერი გაულახავთ. ეს რომ შეუტყვიათ  
მუშებს, წამოსულიან ებრაელებზე შურის საძიებლად  
და ანგრევდნენ გზა-და გზა ებრაელების დუქნებს და

თან ყვიროდნენ, რო ქრისტიან მდგურებს დაედგაო  
სახლების ფანჯრებში ხატები, რათა ამნაირად აე-  
ცილებინა თავილან აწიოკება. მუშები ებრაელებს  
არ სცემდნენ მათ ქონებასაც არ იტაცებდნენ, მხო-  
ლოდ ამტკრევდნენ ფანჯრებს, კარებს, სარკეებს,  
სხვა-და-სხვა ნივთებს, გლეჯდნენ ტანსაცმელს და  
სხვ. ეს რომ გაიგეს სხვა უბნებში ებრაელებმა,  
შეერთდნენ და შეიარაღებული წამოვიდნენ მუშე-  
ბის დასახვდერად. ებრაელებს ბევრი რევოლვერები  
ჰქონდათ თან. ამ დროს მოსულა ჯარი და გაუ-  
შველებია მოჩხეუბარნი ებრაელები სასოწარკვეთი-  
ლებით იბრძოდნენ, ესროდნენ რევოლვერებს ჯარის-  
კაცებს. მუშებიც ერთობ გამშარებული იყვნენ და  
ჯარს ძალიან უჭირებდნენ საქმეს. სახლების ფან-  
ჯრებიდან და ივნებიდან ესროდნენ თოფს ჯარსა.  
გაბოროტებული მუშები დაევივნენ ებრაელებსა და  
ჯარის კაცებს. ამ დროს ორჯელ იგრიალა თოფებმა;  
სალდათებმა ესროლეს ებრაელებს, შემდეგ მიუბ-  
რუნდნენ ქრისტიანებს დაიმათაც ესროლეს.

\* \* \*

„გრაფიკანის“-ის რედაქტორი თ-დი მეშჩერსკი  
ამ უამაღ პარიზში იმყოფება, იკვლევს ფრანგთა  
ცხოვრებას და შემდეგს სამწუხარო ფიქრებს უზია-  
რებს თავის მკითხველებს.

საფრანგეთ-რუსეთის კავშირი ამ ბოლო დროს  
დაჭრილ და ფრთა ჩამოგდელ ფრინველს ჰგავს.  
არ გაივლის დიდი ხანი და ეს კავშირი ჩაილულის  
წყალს დალევს.  
ამ კავშირის დასუსტება-მოდუნებას ერთობ ხელს  
უწყობდა ის გარემოება, რომ საფრანგეთმა ბევრი  
განათლებული ინტელიგენტი რუსი მიიჩიდა რომელ-  
ნიც ავრცელებენ საფრანგეთში სხვადასხვა ნაირ  
ცნობებს რუსეთის შესახებ, ყველაზე უფრო საფრან-  
გეთის უურნალისტებზე აქვთ გავლენა და მათი  
საშუალებით საფრანგეთის ხალხზედაც მოქმედობენ.  
პარიზის მოწინავე საზოგადოება, რასაკვირველია,  
ულტრალიტერალურია და თანაუგრძნობს ჩვენ ინტე-  
ლიგენციას, რომელიც ავრცელებს საფრანგეთში  
ხმებს რუსეთში მომხდარ არეულობათა შესახებ,  
აზერადებს ამ არეულობათა მნიშვნელობას და ქაქ-  
მის კაცთ, პრაქტიკულ მოლვაშეთ სურვილს უკლიეს  
რუსეთთან რამე პრაქტიკული კავშისრი იქნიონ,  
რადგან რუსეთის წეს-წყობილება არ არის მკვიდ-  
ნიადაგზე დამყარებულიო.

\*\*

**შალებით ვაჭრობა.** ამ სამარცხევინო ვაჭრობასთან საბრძოლველად გერმანიაში არსებობს საერო კომიტეტი. ეხლა-ხან კომიტეტის მდივანი ვაგნერი ხმელთა შუა ზღვის ნავთ-სადგურებში ყოფილა ცნობების შესაკრებად იმ გერმანელ ქალების შესახებ, რომელნიც ამ ნავთ-სადგურებში „გაუყიდნიათ“. აღმოჩნდა, რომ სადგურებში გერმანიდან შედარებით ცოტა ქალი იგზავნება. კონსტანტინეპოლის, მაგალითად, სამხიარულო სახლებში სამი გერმანელი ქალი ყოფილი და 103 ავსტრიელი, 11 სერბიელი, 35 რუმინიელი და 6 ბოლგარელი. «საწყობ» ადგილად, საიდანაც სხვა-და-სხვა კუთხეში ქალებსა ჰგზავნიან, ქალაქი გენუა ითვლება. ისე დღე როგორ გაივლის, რომ ამ ქალაქიდან ავსტრიისკენ 20—30 ახალგაზდა, ზოგჯერ ძალიან ლამაზი ქალი არ გაისტუმრონ. პოლიციას არ შეუძლიან რომელიმე ქალი დაიჭიროს და სამშობლოში გაისტუმროს, რადგან ყველას ქალალდები წესა და რიგზე აქვს და ყველა იმას ამბობს, მომლერლები ან მოცეკვავენი ვართო. ბევრ ქალსა ჰგზავნიან ალექსანდრიასა, ქაირსა, კაპშტადტსა და ინდოეთში. უმთავრესად ამ ადგილებში ჰგზავნიან რუსის ქალებს და ავსტრიელებს. არგენტინასა და ბრაზილიაში (ამერიკაში) ქალებს ლისაბონისა და ბორბოს გზით ისტუმრებენ. ზემოხსენებულმა ვაგნერმა წინადადება ჟეიტანა საერო კომიტეტში, განსაკუთრებული ზედამხედველობა დაწესდეს შემდეგ ქალაქებში: გენუასა, ტრიესტსა, ნეპოლისა, კონსტანტინეპოლისა, ალექსანდრიასა, ბორბოსა და ლისაბონში. ამ საქმეში მონაწილეობა უნდა მიიღონ რუსეთმა, ავსტრიამ, იტალიამ ინგლისმა, საფრანგეთმა და ესპანიამ. ჰფიქ-რობენ, შემოდგომაზე შვეიცარიაში საერთაშორისო კონფერენცია მოახდინონ.

## ახალი აქცია და შენიშვნება.

\* \* \* სოხუმის ეპარქია მოშორდა საეგზარხოსო მართვა გამგებას და პირდაპირ ექვემდებარება ამიერიდგან უწმიდეს სინაცხ. სოხუმში განზრახულია ოთხ კლასიანი სასწავლებლის დაარსება განსაკუთრებითი პროგრამით, რომელშიც იქნებიან მიღებულნი ადგილობითი მცხოვრებნი. განზრახულია აგრეთვე სამეცნიეროს ეპარქიის კათედრის გადატანა ბათუმში. ხმებია რომ იმერეთის ეპარქიის მიეწერება ოზურგეთის მაზრა. ამ სახით ორი ეპარქია-ლა რჩება საეგზარხოში.

\* \* ჩვენ შევიტყვეთ, რომ საეგზარხოსო სამრევლო სკოლების თავმჯდომარედ იქმნება დანიშნული ყ-დ სამღვდელო ბენიამენი

\* \* პროფესიონალური ჰაენას ბერლინის სამეცნიერო აკადემიაში 23 ივნისს რეფერატი წაუკითხნია ამ სათაურით: „ქართულის ძველ ლიტერატურის გამოკვლევა“. საჭირო ცნობები პროფესიონალ მარჩის მიუწოდებით თავის მოგზაურობიდან სინას მთასა და იერუსალიმში. რეფერატში დახასიათებულია ქართული ძველი მწერლობა და მოთხოვნილია მისი გაძლიერება და განვითარება.

\* \* კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს განუზრახავს შემოიღოს ისეთი წესი, რომ ყოველ საშუალო სასწავლებლებში მისაღები ეგზამენები ერთსა და იმავე დროს იყოს, რომ ბავშვების მშობლებს აღარ შეეძლოთ სხვა-და-სხვა სასწავლებლებში მიიყვანონ ბავშვი, თუ ერთს სასწავლებელში გამოცდის დროს ჩაიჭრა. („ივერია“)

\* \* ციმბირში სულ 109,890 დესეტინა სახაზინო მიწები გადაუდიით კერძო კაუთათვის დასარიგებლად იმ პირობით, რომ მეურნეობა დაწყონა იმ წესზე, რომელიც შედგენილია და დამტკიცებული 8 ივნისს 1901 წელს.

\* \* გზათა სამინისტროს ფიქრადა აქვს გააუმჯობესოს ვენტილაციის საქმე მატარებლებში.— სწორეთ დრო არის!

\* \* ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ჩინებულად კურს დამთავრებულთ, ამ წელში უარი უთხრეს სემინარიაში მიღებაზე სუსტი ცოდნის გამო. ესევე შაგირდები რუსეთის სემინარიაში კი მიიღეს...

\* \* \* სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქთან დაწესდა ახალი თანამდებობანი ფოსტა ტელეგრაფის მოხელეთა, რომელთაც სპარსეთში რუსეთის მისითვის უნდა იმსახურონ. დაწესდა: ერთი თანამდებობა პირველ ხარისხის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელისა (ჯამაგირი—2,250 მან.), ექვსი თანამდებობა მესამე ხარისხის მოხელისა (თიოთს 1,575 მან.) და ერთი თანამდებობა ზედამხედველისა (1,260 მან.) საფორმის ქირად ამ მოხელეებს მიეკერთ ჯამაგირის 30% პროცენტი ყოველ წელიწადს, ამისათვის ხაზინიდან უნდა გადაიდოს 15,570 მანეთი.

\* \* \* 25 აგვისტოს, 25 წელიწადი შესრულდა, რაც ბათუმი რუსეთს შემოუერთდა.

\* \* \* 23 აგვისტოს, ნაშეადლევის  $1\frac{1}{2}$  საათზე, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამდლოლის მოადგილის თავ. დ. ო. ნიუარაძის თაოსნობით იმერეთის ეპისკოპოზმა ყოვლად სამღვდელო ლეონიდმა მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში გადაიხადა პარაკლისი დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის განსაკურნებლად. პარაკლის დაესწრენ: ქუთაისის გუბერნატორი, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამდლოლის მოადგილე თავ. დ. ო. ნიუარაძე, მაზრის წინამდლოლები და დიდ-ძალი საზოგადოება.

\* \* \* ამას წინად კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი შეეკითხა ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორს, რათა ჰქვიან თქვენს სასწავლებელს „სათავადაზნაურო“ და არა „კერძო“ სკოლაო, რაზედაც ბ-ნმა მზრუნველმა ჯეროვანი პასუხი მიიღო. ეხლა იგივე მზრუნველი ეკითხება ინსპექტორს: რათა ჰქვიან თქვენს სასწავლებელს „ალექსანდრეს“ სასწავლებელით. მონახეს ის საბუთიც, რომლითაც იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ შეიწყნარა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელობა, რომ სასწავლებელს დაერქვას „ქუთაისის ალექსანდრეს სათავად-აზნაურო სასწავლებელი“. ჯერ-ჯერობით მეტი არაფერი მოუთხოვნიათ. („ცნ. ფურცელი“).

\* \* \* გარეშე საქმეთა მინისტრმა ოფიციალურად აცნობა მოკლულ კონსულის როსტოვსკის ქვრივს, რომ მას უმაღლესის ბრძანებით დაენიშნა პენია—3,750 მან. ყოველ წლივ და მის შეილებს—1,250

მან. თვითეულს, ვაჟს სრულ წლოვანებამდის და ქალს—გათხოვებამდის.

\* \* \* კერძის ქუჩებში ქალაქის უფროსის შემდევი განცხადება გაკრული:

1) ვიწვევ ქარხნების მუშებს დაუბრუნდნენ თავ-თავიანთ სამუშაოს.

2) საქარხნო ინსპექტორი შემოივლის ყველა ჭრნებს და მოისმენს მუშების საჩივარს.

3) ვისაც მუშაობის განგრძობა არ სურს, შეუძლია ანგარიში გააძროროს.

4) ყოველი მუშა, რომელიც ძალ-დატანებით გააწყვეტინებს სხვებს მუშაობას, დაპატიმრებული იქნება და უშორეს გუბერნიაში გაიგზავნება პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ.

ვუცხადებ იგრეოვე ქ. კერძის მცხოვრებლებს, ნუ შეგროვდებინ ქუჩებში ამბის საყურებლად. ჯარი რომ იარაღს იხმარს, შეიძლება ისინიც იმს-ხერხლოს უდინა შაულოდ.

\* \* \* გამოეცხადა უმაღლესი მადლობა ნიკოლა-ევის უფროსებინტრ-ადმირალ ენკვისტს სამაგალითო მოქმედებისათვის, რომლითაც მან ისახელა თავი ქალაქში მომხდარ არეულობის დროს.

\* \* \* ოფიციალურ ცნობებით, ჩინეთიდან ერთი ექვსად უფრო მეტი საქონელი შემოაქვთ რუსეთში, ვიდრე რუსეთიდან ჩინეთში გააქვთ. ჩინეთში უმთავრესად გააქვთ სხვა-და-სხვა ჩითები, ნავთი, ტყავი, რკინა, ზაქარი და არაყი. ჩინეთიდან შემოაქვთ—ჩიი, აბრეშუმი, ხამი, ტყავი და ბეწვი.

\* \* \* სტატისტიკური ცნობებით პეტერბურგში 1,248,000 მცხოვრებელია. ამ რიცხვიდან 120,000 კაცი უსაქმო ხალხია, რომელიც სხვა-და-სხვანაირი შემოსავლით სცხოვრობს, 17,000 კაცი,—სამუშაოს ედებს, 15,000 მშობლებისა და ნათესავების ხარჯება, 520,000 სხვა-და-სხვა ხელობით რჩება (295 ათასი კაცი და 225 ათასი ქალი), 210,000 ვაჭრობას მისდევს, საქონლის გადატანით და მეეტლებობის ხელობით 93 ათასი კაცი რჩება, 273 ათასი კაცი—ხელობის უცოდინარი, სხვა-და-სხვა საქმეს მისდევს. ჯარში და ფლოტში—62 ათასი კაცია, აღმინისტრიკა—55 ათასი, აღმზრდელ-მასწავლებელთა რიცხვი 26 ათასია, სამკურნალო სფერაში მოსამსახურეთა—23,500; მეცნიერებას, ლიტერატურას და ხელოვნებას—16,500 კაცი მისდევს, ღვთის-მსახურებას—10,800, პოლიციის მოხელეთა რიცხვი—10,500



სასამართლოთა უწყებაში—5,500 კაცი; ხელზე  
მოსამსახურეთა რიცხვი 50 ათასია.

\* \* ყოველ წელიწადს ამიერ-კავკასიაში გად-  
მოსახლებულ რუსთა საჭიროებებს ხაზინა დიდ-ძალ  
ფულს ანდომებს. აი, ეხლაც ბაქოს საგუბერნიო  
ადმინისტრაცია შუამდგომლობს, რომ მარტო ბაქოში  
დასახლებულ რუსთათვის გადაიდოს 50,000 მანეთი,  
რადგან წინათ გადადებული საკმაოდ არ უცვნიათ.  
(„ცნ. ფურცელი“).

\* \* ევროპაში სამხედრო წოდებაში ბევრს  
ვარჯიშობენ ჰაეროსტატით. აქნობამდისინ ჰაერში  
თავის სურვილისამებრ მოგზაურობა ძნელი იყო,  
მაგრამ იმდენი ეცადენ, რომ თავისით დაფრინავენ.  
3 სექტემბერს სამი აფიციერი რომელთაც შეუსწავ-  
ლიათ ჰაერში მოგზაურობა ავდენ ჰეტერბურლში  
და უნდოდათ ფრენა თავის სურვილისამებრ, მაგ-  
რამ ქარმა გაიტაცა ფინლიანდიისაკენ. ბოლოს ჩა-  
მოეშვენ ძირს. ერთი გადმოხტა ხუთი საუკუნის სი-  
აღლიდან და დაშავდა, უფრონობელი წაიყვანეს  
საავად მყოფოში, ორიც გადმოხტნენ დაუშავებლად.  
ბუშტი კი ჯერეთ არ უნახავთ.

\* \* ჰეტერბურლში და მოსკოვში მრავალ მა-  
ლაზიებში არის სურათები, ხატები სარკვის წმინდა-  
ნის სერაფიმის. მოსიოვში ვერცხლისა და ბრონზის  
ხატები სერაფიმისა 200, 300—1000 მანეთი  
ღირს. ამ ხატების ვაჭრობით დიდი შემოსავალი  
აქვთ დღეს რუსეთის მოვაჭრეთა. დიდ მონასტრებს,  
ეკვდრებს უკეთებენ და სერაფიმის სახელზედ  
ტრაპეზებს აკურთხებენ, რომ ამით შემოსავალი  
გაადიღონ.

\* \* ამ წელიწადში როგორც წინედ იყო სამ-  
ლოდელოების ჯამავირზე გამოვიდა 500,000 მან.

\* \* ბაქოს გუბერნატორს ოფიციალურად  
შეუტყობინებით ბაქოს ქალაქის მოურავისათვის,  
რომ შინაგან საქმეთა მინისტრს დაურთავს ნება  
ქალაქის საბჭოსათვის გამოსცეს გაზეთი, ქალაქის  
მოურავის რედაქტორობით. გაზეთს სახელად ეწო-  
დება: „ბაქოს ქალაქის საბჭოს ცნობანი“.

\* \* „კავკაზი“-ში დაბეჭდილა შემდევი ოფი-  
ციალური ცნობა: „12 სექტემბერს, ქალაქ შუშაში,  
მთავრობის მოხელეების მიერ სომეხთა საეკკლესიო  
ქონების მიღების დროს, შეიქრიბა დიდალი სომ-  
ხობა, რომელმაც ყვირილი და სტვენა დაიწყო.  
მაგრამ ამან ქონების მიმღებთ საქმეზე ხელი ვერ  
ააღებინა. როდესაც კომისია საქმის დამთავრების  
შემდევი, უკან ბრუნდებოდა, აღელვებული ხალხი  
გუბერნატორის სადგომისაკენ გაემართა. ხალხის  
შესახერებლად გაპგზავნეს საპოლიციო დარაჯნი და  
50 ყაზახი, რომელთაც ქვისა, რევოლვერებისა და  
თოფების სროლით მიეგებნენ ქუჩებსა, სახლის ბა-  
ნებსა და ივნებიდან. ყაზახებმა სროლა დაიწყეს  
და ქუჩა დააცარიელეს. დაიჭრა ორი ყაზახი და ერ-  
თი საპოლიციო დარაჯი. ხალხიდან ერთი მოკვდა.  
რადგან ჩამონა ჩამონა, დაჭრილთა რაოდენობა ვერ  
გამოარკვიეს“.

\* \* „კავკაზი“-ში დაბეჭდილია შემდევი ოფი-  
ციალური ცნობა: 12 სექტემბერს, ქალაქ შუშაში,  
მთავრობის მოხელეების მიერ სომეხთა საეკკლესიო  
ქონების მიღების დროს, შეიქრიბა დიდალი სომ-  
ხობა, რომელმაც ყვირილი და სტვენა დაიწყო.  
მაგრამ ამან ქონების მიმღებთ საქმეზე ხელი ვერ  
ააღებინა. როდესაც კომისია საქმის დამთავრების  
შემდევი, უკან ბრუნდებოდა, აღელვებული ხალხი  
გუბერნატორის სადგომისაკენ გაემართა. ხალხის  
შესახერებლად გაპგზავნეს საპოლიციო დარაჯნი და  
50 ყაზახი, რომელთაც ქვისა, რევოლვერებისა და  
თოფების სროლით მიეგებნენ ქუჩებსა, სახლის ბა-  
ნებსა და ივნებიდან. ყაზახებმა სროლა დაიწყეს  
და ქუჩა დააცარიელეს. დაიჭრა ორი ყაზახი და  
ერთი საპოლიციო დარაჯი. ხალხიდან ერთი მოკვდა.  
რადგან ჩამონა ჩამონა, დაჭრილთა რაოდენობა ვერ  
გამოარკვიეს“.

\* \* 15 სექტემბერს ათი წელიწადი შესრულდა,  
რაც კავკავისა და მოზღვისა ეპისკოპოსი ვლადიმირი  
ეპისკოპოსად არის. ამის გამო „ქ. შ. წერა-კითხვის  
გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობამ გუშინ  
დეპეშით მიუღლია იუბილე მღვდელ-მთავარს,  
რომელიც მფარველია კავკავის ქართულ სკოლისა  
და ეკკლესიისა.

\* \* კავკავისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადო-  
ებაში წევრმა ი. გ. ალიბეგოვმა წინადაღება შეიტანა,  
რომ რუსთა მწერალი ლ. ნ. ტოლსტოი აარჩიონ  
საპატიო წევრად, დაპუილონ საზოგადოების დარბა-  
ზში იმისი სურათი და საზოგადოების სახელით  
მიუღლიუნ დაბადების 75 წლის შესრულება.

\* \* ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობასთან  
დაარსდა სკოლა, რომელიც მოაზადებს ლიანდაგზე

მოსამსახურებს. სწავლა უფასოა. სკოლას აქვს 4 განყოფილება სხვა-და-სხვა თანამდებობაზე მოსამზა-დებლად. პირველ განყოფილებაში ამზადებენ შეი-სრებებს და კონდუქტორებს, მეორეში—საკომერციო ნაწილის კონტორის გამგეებს და ამწონებს, მესამეში—სატექნიკო ნაწილის კონტორის გამგეებს და სადგურის უფროსის თანაშემწეებს და მეოთხეში— „ტაქსიროვშიკებს“, კასირებს, გადამცემ აგნტებს და სადგურის უფროსებს. თხოვნა უნდა დაიწეროს მატარებელთა მიმოსვლის უფროსის სახელზე და თან წარდგინოს საბუთები ვინაობისა, სწავლისა და სამსახურისა. პირველ განყოფილებაში მიიღებიან 21—28 წლისანი, რომელთაც იკიან რუსული ლაპარაკი და წერა. მიიღებიან უფრო სამხედრო ბეგარა მოხდილნი, რომელთაგანაც უნტერ-ოფიცირები ჩარიცხულნი იქმნებიან კონდუქტორის თანამდებობის შესასწავლად. მეორეში—18—28 წლისანი, რომელთაც გათავებული აქვთ 4 კლასი საშუალო სასწავლებლისა, (რეალურ სასწავლებლისა, გიმნაზი-ისა, სასულიერო და სამოსწავლო სემინარიისა), პროგიმნაზია, 6 კლასიანი სამაზრო სასწავლებელი, 5 და 6 კლასიანი საქალაქო და სასულიერო სასწა-ვლებლები. ყველაზე კარგად უნდა იკოდეს რუსული ლაპარაკი; მესამეში—21 წლისანი, რომელთაც ერთი წელიწადი უმსახურიათ საკამერციო ნაწილში კონტორის გამგეებად, ამწონებად ან ტელეგრაფის-ტებად. მეოთხეში მიიღებიან ისინი, ვინც სადგურის უფროსობაზე ემზადება და ორა ნაკლებ 21 წლისა. ამას გარდა ვინც სადგურის უფროსობაზე ემზადება, ის ნამსახური უნდა იყოს სატექნიკო ნაწილში კონტორის გამგეთ ან კიდევ სადგურის უფროსის თანაშემწედ არა ნაკლებ ერთის წლის ნამსახურობა კონტორის გამგედ ან ამწონად. სწავლა დილის 8-დან ნაშუადლევის 2 საათამდის და საღამოს ექვ. 9 საათამდის იქნება. სწავლა 16 ოკტომბრიდან იწყება. პირველ და მეორე განყოფილებაში ზამთარ-ზაფხულ იქნება სწავლა, ხოლო მესამესა და მეოთ-ხეში სწავლა სწავლება ორა უგვიანეს 15 მაისისა. კურს-დამთავრებულნი ჩარიცხებიან კანდიდატებად.

\* \* \* მიტროპოლიტი ანტონი „შელეზნო-ვოდს-კში“ ბრძანდება სააგარაკოდ, ხოლო მიტროპო-ლიტები ვლადიმირი და ფლაბიანე თავთავის ეპარ-ქიევში ბრძანდებიან. სინოდში თავმჯდომარედ ბრძანდება საქართველოს ექსარხოს მთავარ ეპისკო-პოსი აღექსი.

\* \* \* ჩვენში ზოგიერთი თავგასული ვაუბატონები გაიძინან, რომ სულ უბრალო მიზეზისათვის იძრო-ბენ ხანჯალს და მოკვლენ კაცია, რომ ხანჯალი არ იყოს კაცის კვლა მოისპონდოდა. ჩვენ სრულე-ბით წინააღმდეგი ვართ ხანჯლების და სხვა იარა-ლების ტარებისა და სასირცხოთაც მიგვაჩინია, მაგრამ ის კი შემცდარი აზრია, რომ ხანჯლის ბრალი იყოს ჩვენში ამდენი მკვლელობა. აი რას ვკითხულობთ ჩვენ ერთ მოსკოვის გახეთში: „გუშინ პირველ საათზე გამოცხადდა პოლიციაში კაცი გვარად კუპ-ნოვი და განაცხადა რომ მან ორი კაცი მოკლე თავის სახლში თავისი მეგობრები მუშები ვასილიევი და ფეოდოროვი. საქმე ასე იყო: ფეოდოროვიდან ინათხოვრა ჩინგური მან, კუპნოვმა. ფეოდოროვი თხოვილობდა თავის ჩინგურს, მაგრამ არ აძლევდა მას თუ არ მისცემდა ორ აბაზს ფეოდოროვი, რომელიც მისგან ისესხა ფეოდოროვმა. მერე ორივე ამხანაგებს ძალით უნდოდათ წართმევა და ჩხუბი შეგვეძნა. მე ავრღე ხანჯალი და ორივ მოვკალი.“

„Н. Д. № 7278.

\* \* \* შავი ზღვის პირად რკინის გზის გაყვანა, როგორც ისმის გათავდაო. არმავლირიდან ტუაპსემდე ვაჭდიკავკაზის რკინის გზის გამგეებმა უნდა გაიყვანონ გზა და ახალ-სენაკიდან სოხუმამდე ამიერ კავკასიის რკინის გზის გამგეობამ. სოხუმიდან ტუაპსემდენ სხვას ეძლევა და მალე გადაწყვდება ესეცო. სამი მილიონი არის გადადებული სოხუმის ბოლოზის გასაკეთებლად და მუშაობას მალე მიდგებიანო.

\* \* \* 17 სექტემბერს შენბრუნის (ვენაში) სასახ-ლეში სადღესასწაულო საუზმის დროს იმპერატორმა ფრანც იოსებმა შემდეგი სადღეგრძელო წარმოსთვეა ფრანგულად: „მეტად მოხარული ვარ, რომ შემი-ლიან თქვენს უდიდებულესობას სალამი უძღვნა და გამოუცხადო, თუ რამდენად სასიმოვნოა ჩემთვის ეს სალამი. ბელინიერება მეონდა, თქვენი უდიდებუ-ლესობა შტირიაში სანაიროდ მომეწვია. თქვენც დასთანხმდით და ამით ხელ-ახლად დამიმტკიცეთ თქვენი მეგობრობა, რომელსაც ასე დიდად ვაფასებ. ეს მეგობრული გრძნობა ჩემს გულშიაც მხურვალე და წრფელ პასუხსა პპოებს. ჩვენ გულითად განწყო-ბილებას არა ერთხელ ჰქონია კეთილი გავლენა ჩვენ სახელმწიფოთა პოლიტიკურ ურთი-ერთობაზე. იმედი მაქსი, ეხლაც, როდესაც ბალკანეთის ნახევარ-კუნ-ძულზე ასეთი სამწუხარო ამბები ხდება, ჩვენი სრუ-ლი თანხმობა მძლავრად შეუწყობს ხელს იმ ღონის-

ძიებათა ასრულებას, რომელნიც ჩვენ საჭიროდ  
მივვაჩნია ევროპის მშვიდობიანობის დახაცეველად.  
ამ გრძნობით აღფრთოვანებული, ჩემის ძვირფასის  
და ერთგულის მეგობრის, მისს უდიდებულესობის  
ნიკოლოზის სადღეგრძელოსა ვსვამ».

\* \* სელმწიფე-იშერატორისაგან თქმული სადღეგრძელო: „თქვენის უდიდებულესობის სიტყვებმა დი. დად მასიამოვნა. წრფელის გულით გმადლობთ-თქვენის უდიდებულესობის თავაზიან მოწვევას გან-  
საკუთრებულის სიამოვნებით დავსთანხმდი. ბეჭნიე-  
რი ვარ, რომ შემიძლიან პირადად გამოგიცხადოთ  
მეგობრობის გამო ორივე ჩვენი მთავრობა სრულის  
თანხმობით მოქმედებს. ეს თანხმობა, როგორც  
თქვენმა უდიდებულესობამ სთქვით, თავდებია იმ  
დიდის მშვიდობის მყოფელ საქმისა, რომელიც ჩვენ  
ერთმანერთის თანხმობით თავს ვიდეთ. ის კეთილი  
საქმე, რომლის ასრულებასაც ჩვენ ვცდილობთ,  
პირუთვნელადა, მტკიცედა და ბეჯითად უნდა ას-  
რულდეს ისეთი შესაფერისის ღონისძიებით, რომ  
ბალკანეთში ნამდვილი და მკვიდრი მშვიდობიანობა  
დამყარდეს. ჩვენი მეცადინეობა, იმდა მაქს, საზო-  
გადო მნიშვნელობის განმტკიცებასაც ხელს შეუწყობს. ჩემის ძვირფასის და პატიცემულ მეგობრის,  
მის უდიდებულესობის იმპერატორისა და მეფის  
ფრანც-იოსების სადღეგრძელოს ვსვამ“.

\* \* 13 სექტემბერს მოსკოვში გამოვიდა ცველა  
გაზეთები „კურიერი“-ს, „ნოვოსტი დნია“-ს და  
„რუს. სლოვო“-ს გარდა.

\* \* გომელში ებრაელებზე თავ-დასხმას დროს  
ერთ სახლის პატრონს კუნინს შესანიშნავი მხნეობა  
გამოუჩნია. დახვედრია თავის შვილებითურთ გაბ-  
რაზებულ ბრძოს, რომელსაც მის სახლში მცხოვრებ  
ებრაელების აწიოკება უნდოდა, და დაუცავს თავისი  
მდგმურები, 60 ებრაელი. კუნინი ძლიერ გალისუ-  
ლია თურმე, ბევრი ქვა მოხვედრია ზურგსა, ხელებსა  
და ფეხებში. სამის დღის განმავლობაში იცავდა ეს  
ქრისტიანულად თავგანწირული კაცი თავის მდგმუ-  
რებს და თავის ხარჯით არჩენდა იმათ.

\* \* „საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო  
უწყების“ რედაქციას უთხოვნია საქართველოს  
ექსარხოსისათვის და მის მაღალ ყოვლად უსამღვდე-  
ლოესობასაც გადაუცია რედაქციის რაპორტე ქა-  
რთლ-კახეთის სინოდის კანტორისათვის იმის შესა-  
ხებ, რომ ეს სასულიერო შურნალი ცველა ეკკლე-

სიებმა გამოიწერონ საქართველოს საეგზარხოსოში.  
სინოდის კანტორის ეს თხოვნა შეუწყნარებია და  
ცველა შტატის ეკკლესიისათვის დაუვალებია ამ  
შურნალის გამოწერა, ხოლო იმ პირობით, რომ:  
1, შურნალმა ჰქეჭლოს სასულიერო მთავრობის გან-  
კარგულება; 2, ათში ერთი ყოველ ნომრისა უფა-  
სოდ დაუთმოს ღარიბ ეკკლესიებს და 3, ყოველ  
ნომერში ჰქეჭლოს რუსულად ანუ ქართულად და-  
ბალ ხალხისათვის გასაგები სიტყვები, ქადაგებანი  
და წერილები საეკლესიო შინაარსისა. ეს განკარ-  
გულება უნდა ასრულდეს 4 იანვრიდგან 1904 წ.  
ეს კითხვა განმეობებით ირჩევა სინოდის კან.  
ტორისაგან. როცა „საქართველოს საექსარხოსოს  
მოამბის“ გამოცემის ნებას ითხოვდენ უმაღლესი  
მართებლობიდან სხვათაშორის მოახსენეს. რომ ეს  
შურნალი სავალდებულო იქნება მხოლოდ შეძლე-  
ბულ ეკკლესიათაოვის და ღარიბი ეკკლესიები მისი  
გამოწერისაგან თავისუფალნი იქნებიან. უწმიდესი  
სინოდისაგან ამ პირობით იყო ნებდართული ეს  
შურნალი. იმ დროს როცა რედაქტორად ბრძანდე-  
ბოდა სემინარიის რექტორი არხიმანიდრიტი ნიკო-  
ლოზი (დღეს ტავრიდის და სიმფეროპოლის ეპარქიის  
ეპისკოპოსი), იმანაც აღძრა თხოვნა, რომ ცველა  
ეკკლესიებისათვის დავვალებიათ გამოწერა ამ შურ-  
ნალისა და რვა ცალზე ერთს ცალს მუქთად პირდე-  
ბოდნენ სამღვდელოებას, მაგრამ სინოდალნი კანტო-  
რიმ მაშინდელი რედაქტორის თხოვნის აღსრულება  
შეუძლებელად ცუნა, რადგან ზოგიერთ ეკკლესიებს  
სრულებით შეძლება არა აქვთ, რომ უსაჭიროების  
ეკკლესიის მოთხოვნილებანი დააყმაყოფილონ.  
ჩვენი ეკკლესიები დღესც იმ მდგომარეობაში არიან  
როგორც ათი წლის წინეთ. ეკკლესიებზე გაწერილია  
სანთლის შემოსავლითგან სასწავლებლების შესანახა-  
ვად 10—40 მანეთამდე და, რადგანაც ეკკლესიის  
შემოსავლი არა აქს, თვითონ კრებულნი იხდიან  
ამ გარდასახადს. რაიცა შეეხება სიტყვების ბეჭდვას  
შურნალში ქართულად, ამაზეც ხომ მოხსენდა სი-  
ნოდს და ერთი მანეთი კიდეც ამისთვის მოუმატეს  
დადგენილ ფასს. რაიცა შეეხება სასულიერო მარ-  
თებლობის განკარგულებათა ბეჭდვას, ეს ვგონებ  
მეტი სიტყვაა, რადგან ეს ორგანო ამ მიზნით დაარსეს.

\* \* ამ წელში ხუთასი თასი მანეთი გამოვიდა  
სამღვდელოების ჯამაგირებისათვის. რაც შევდება  
საექსარხოსოს სამღვდელოებას სინოდალნი კანტო-  
რის მიენდობა დასარიგებლად შტატებზე.

\* \* როგორც შევიტყვეთ ქუთაისის ქალაქის  
სასაფლაო საგიროზე სასულიერო უწყებას გადაეცემა.

\* \* ექსარხოსის შუამდგომლობით ამ წელში 17 ათასი მანეთი გადაიდეა სამრევლო სკოლებისათვის ხაზინიდან. ამ წარდგინების ულტა დაბრკოლება შეხვდა პეტერბურღში, მაგრამ იმედობენ რომ ეს დაბრკოლება არ მოუშლის ფულების მიღებას.

\* \* ყაზანის სამოსამართლო პალატის სესია 8 ოქტომბერს უფაში გაარჩევს საქმეს ზოლატოუსტში მომხდარ არეულობის მონაწილეთა შესახებ. 34 კაცს (მათ შორის 5 ქალია) ბრალდებათ აღმინისტრაციის წინააღმდეგობა, არეულობის მოთავეობა და ორ დაჭრილ მუშის ძალად განთავისუფლება. ყველა ეს 34 კაცი სატუსალოშია დამწყვდეული. 200 მოწამეა ამ საქმის შესახებ მოწვეული. („ცნ. ფ.“)

\* \* 18 სექტემბერს ფინლიანდის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი, დეიტრიხი თავმჯდომარეობდა ფინლიანდის სენატის სამეურნეო დეპარტამენტში და ბჭობა რუსულ ენაზე მიჰყავდა. 1890 წელს ფინლიანდის გენერალ-გუბერნატორს მიენიჭა უფლება სენატის საერთო კრებისა და დეპარტამენტებში თავმჯდომარებისა, მაგრამ ვერ უსარგებლნია ამ უფლებით, სანამ საქმის წარმოებაში რუსული ენა არ შემოიღეს. ახლა კი გენერალ-გუბერნატორს შეუძლია უფრო დაახლოვებით თვალ-ყური აღვნოს სენატში საქმის წარმოებას.

## შველას საზოგადოებოდ

ძლიერ სამწუხაროდ მიგვაჩნია, რომ ეხლანდელ დროში იშვიათად შეხვდებით წიგნთსაცავებს, რომელიც საკამისით მიღებული წიგნების ანგარიშს იძლევოდენ რიგიანად. ხშირად წიგნების გამომცემლები 20% და 30% უთმობენ თითო მანეთზე, მაგრამ ზოგიერთებისაგან გასყიდული წიგნების ფასიდან სულაც ვეღარას იღებენ. საჩივრის გამართვა მისთანა წიგნთსაცავების პატრონებთან მოუხერხებელია ხოლმე. გვიკვირს, რომ წიგნების მყიდველები თვითონ ავტორების და გამომცემლებისაგან არ იბარებენ წიგნებს, როცა მათ ერთად ათი და მეტი ცალი სურსთ მოიპოვონ. გამომცემლები მათ დაუკლებენ თითო მანეთზე 20% და ნუ თუ

ეს მათვეის სასარგებლო არ არის? ვაცხადებთ საყველთაოდ, რომ ვინც პირდაპირ ჩვენიდან გამოიწერს წიგნებს არა ნაკლებ ერთი ათი ცალისა ან ათი მანეთისა ყოველთვის 20% და ეთმობა მანეთზე და თუ რკინის გზით შეიძლება გაგზავნა მაშინ გასაგზავნსაც არიხდიან, უფასოდ გაეგზავნებათ.

ამასთან ვაცხადებთ საყველთაოდ, რომ ჩვენი გამოცემები ყველას შეუძლია მოიპოვონ ქუთაისში წიგნის მეტაზე მეტე მინოვითან, რომლის სახლოსნო არის დიდი გიმნაზიის პირდაპირ; თფილისში წერა კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნთსაცავში; ყვირილაში ვაჭარ იორდანე ცერცაძის მაღაზიაში და უურნალის, მწყემსის რედაქციაში და სტამბაში.

ქუთათურ ხელის მოწერლებს უურნალები შეუძლიათ მიიღონ ზემო სენაციულ შეერ მინოვაჩიდან და აქვე ყველას შეუძლია მიღება ყოველ გვარ მოწმობათა ბლანკთა და უურნალთა.

ჩვენს რედაქციაში დღეს იმქონება აგრეთვე ზოგიერთების თხოვნისამებრ სლავიანურ ენაზე პატარა ტანის ტრადიციის სახარებანი,, მოლებნის წიგნები, უავნები და დავითნები.

რედ. დეპ. დ. ლაშაზიძე.

## გ ა ნ ც ხ ა დ ე გ ა ნ ი.

### ქუთაისში

ს. ჭ. პ. თოლიურის

### ს ა ბ ა დ მ უ რ ფ რ უ რ ი,

რომელიც იმუოფება მათ უმაღლესობის პრინციპის აღექსანდრე თლდენბურგელის მფარველობის ქვემ, 60 საწოლია მინაცან, ნერვებისა, სახი-რურკო, ღეღათა და თვალით ავადმეოფთათვის, მშობიარეთა განეოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიურ გამოკვლეულთა კაბინეტით, გადამდების სენითა და სულით ავადმეოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ჭ.

# ი ს ე რ დ ე ბ ი ა ნ

დეკანოზი დამით ლაშაშიძისაგან შედგენილი  
და გამოცემული წიგნები:

თბილისში, წერა-კითხვის გამარტინულებელი  
საზოგადოების წიგნის მაღაზიში, უვირილაში—  
«მწერების რედაქციის სტამბაში».

## 1. საექლესიო და ლიტერატურული წიგნების წიგნები.

1. ლ ღ ც ა ნ ი ნახატებიანი, გამოცემა  
მესამე. მართლ-მაღიდებელი ეკკლ. უმოა-  
რესი დღესასწაულების ისტორიული მოა-  
ხობით. ამ ლოცვანში არის მოყვით  
წლის ტროპარ-კონდაკები, სერობა, პარა-  
კლისი დეთის-მშობლისა და ზიარების  
ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვანის სრულს  
თვეთა მეტყველებაში არიან ჩართული  
საქართველო. წმიდანები მათი ისტორიული  
მოთხოვნით და ტროპარ-კონდაკებით. ფ.  
ყდით 40 კ. და უყდოთ . . . . 30 კ.
2. წესი სნეულის ზიარებისა და კრისტია-  
ნაშეიღისა, ფასი . . . . 10 კ.
3. ცოცხლთა და გარდაცვალებულთა მოსა-  
ხსნებელი კონდაკი (კარგის ყდით) ფ. . 20 —
4. ძონუაკი იოანე ოქროპირის წირვისა უყ-  
დოთ 30 კ. კარგი ყდით . . . . 50 კ.
5. შემოკლებული ლოცვანი ანბანით და  
თორმეტი საუფლო დღეების ტროპარ-  
კონდაკებით ფ. . . . . 5 კ.

## 2. სასაწილო და სახელმძღვანელო წიგნები.

1. დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზე,  
რომელიც უწმ. სინოდისაგან მოწონებუ-  
ლია როგორც სასწავლო საღმრთო სჯუ-  
ლისა საეკლესიო-სამრევლო და სხვა  
პირველ დახაწყის სკოლებში—ფასი . 30 კ.
2. იგივე დარიგება საღმრთო სჯულის სწავ-  
ლებელ რუსულს და ქართულს ენაზე ხმის  
ამაღლების ნიშნებით ყდით ფასი . . . . 55 კ.
3. დაწყებითი გაკეთოლები საღმრთო სჯუ-  
ლის სწავლებაზე, ფასი . . . . 15 —
4. სხალი სასულიერო კონსისტორიათა წეს-  
დებულება—ფასი . . . . . 40 კ.
5. მღვეველთათვის საიდუმლოების შესრულების

დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი—  
ფასი ყდით . . . . . 20 კ.

## 3. სამეურნეო წიგნები და დარიგება კან- მრთელობის დაცვაზე.

1. ახალა კარაბაღინი, მეორე გამოცემა და-  
მატებით, რომელიც განხილული, მოწო-  
ნებული და ნება-დართულია კავკასიის  
საექიმო ჩევენისაგან ყდით ფასი . . . . 1 კ.
2. დარიგება მხედველობის დაცვასა და თვა-  
ლების მოვლაზე, ფასი . . . . . 10 —
3. ჯანმრთელობის და ავადმყოფობა ექიმის  
საუბარი . . . . . 5 კ.
4. შესანიშნავი მონასტროები და მდგლესიები  
და ამ მონასტროების აღმაშენებელთა ცხო-  
ვრების აღწერილობანი,
1. მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართ.  
განმანათლებელი, ფასი. . . . . 15 კ.
2. გელათის მონასტრი და ცხოვრების აღ-  
წერილობა მეფის დაეით აღმაშენებ. . 15 კ.  
იგივე რუსულ ენაზე . . . . . 20 კ.
3. შიო მღვიმის მონასტრი და ცხოვრების  
აღწერა ლირსისა მამისა ჩევნისა შიოსი 5 კ.
4. ციხასარ-მოლ. დავით და ერქისტანტინე  
და მოწავთის მონასტრი.—ფასი . 5 კ.  
იგივე რუსულ ენაზე . . . . . 10 კ.
5. ვარძის მონასტრი, ფასი . . . . . 5 კ.
6. მარტვილის მონასტრი . . . . . 2 კ.
5. საუფლო და ლიტერატურული წიგნების დღესასწაუ-  
ლების აღწერა ზნეობრივ სწავლა დარიგებით.
1. ლიტერატურის დამაზება, სურათით . 2 —
2. ტაძრად მიყენება ლიტერატურის, მშობლისა, ფ. . 2 —
3. ამაღლება პატიოსნისა და ცხაველს-მეო-  
ულისა ჯვარისა, სურათით. . . . . 2 —
4. შიბა უფლისა . . . . . 2 კ.
5. მირმა უფლისა, სურათით.—ფასი . 2 —
6. ხარება უობლად შეიდა ლიტერატურისა 2 —
7. ბზობა სურათით.—ფასი . . . . . 2 —
8. აღდგომა სურათით.—ფასი . . . . . 2 —
9. მიძინება ყოველად წმ. ლიტერატურის, მშობლისა, 2 —
10. ხელთუქნელი ხატის ისტორია . . . . . 3 კ.

6. მოწამენი, დირსნი მამანი და ღედანი საქართველოს კულტურისა, შესანიშნავი საქართველოს მეფენი და ღედოფალნი:

1. წმიდა მოწამე რაჭენი, სურათით, ფასი .
2. წმ. ნინო ქართველთ გმირნათლებელი .
3. მეფე დავით მესამე აღმაშენებელი .
4. თამარ მეფე, სურათით .
5. გიორგი მთაწმილელი .
6. ოთანანე ზედაპირებელი .
7. შუშანიკი .
8. ქერევან დედოფალი .
9. არჩილ და ლუარსაბი .

7. რელიგიური და ზნელობრივი შინაგანი წიგნები და საუბრები:

1. ფეიდანი მღვდელ-მთამარი: გასილი დილი, გრიგორი ლვილი-გვთაველი და იოანეს მარიამი, სურათებით — ფასი .
2. როგორ უნდა ემარხულობდეთ — ფასი .
3. ანდრია პირველწოდებული, ისტორიული პოემა აკაკისა, ფასი .
5. სიკედილი მართლისა, კონცოდელი პილა-ტეს მეუღლის წარილი .
- 6 ხმა მოძლერისა სამწყსოსადმი. საუბარის შესწავლა იქნა ქრისტესი .
- 7 შეილების მოვალეობა მშაბელთადმი .
- 8 შეობლების მოვალეობა შეილთადმი .
- 9 კინ არიან ჩერენი ცხოვერების მტერნი და როგორ უნდა ვძლიოთ მათ .
- 10 იუნჯებდეთ საუნჯესა ცათაშანა .
- 11 საუბარი ღვთის სიტყვაზე .
- 12 — შრომაზე .
13. სამგვარი სიკედილი .

### 8. მოთხოვთანი დაბადებიდან.

1. მვევ სოლომონ-მრძენი სურათით — ფ.
2. მათერი (მოთხოვთა დაბადებიდამ) სურ.
3. სიბრძნე ისა ზორაქისა, სურათით .
4. ოსები .
5. მრავალ წამებული იობი .

### ხატები და მხატვრობანი.

იმექონებიან პატარა იაფ-ფასიანი-ხატები ფიცარჩს სამ-ოთხ გოჯიანი ფასი 5—10 კ. ხატები არიან ცხოველების, ფერის ლეთის-მშობლის, წმიდა გიორგის, ანდრია მოციქულის, პირველ წოდებულისა და თორმეტთა დღესასწაულთა. ერთ დაიბარებს ხატებს არა ნაკლებ ლიკია, იმათ ჩერენ საქართლოში უკელვან ფოსტის გასაგზავნი არა გარდახდა ამსთან იმექონება სკელ ქალაზე ნახატი წმიდა ნინასი, საქართველოს განანათლებელისა ვარა ყინ 6+7 გოჯიანი ფასი 15 კ. ფოტუ-ტიპით დახატული წმიდანი მთავარ-მოწამენი დაეგით და კონსტანტინე 6+5 გოჯიანი ფასი 5 კ. ამავე ზომისა და ამისთანავე სახით წმიდა ნინო ქართველთ განმანათლებელისა და დავთ აღმაშენებელისა ფ. თოთოსი 5 კ.

ერთ ზემო ლინიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუმცისა, მას მანეზე დაეთმობა 30 კ. ერთ თრ კაპიკიან წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლებ ასი ცალისა, ის უოსტით გასაგზანს არ იხდის.

იმექონება აგრეთვე მრავალი პატარა გულა-საიკუდი ხატები ფერებადუები ლათონისა, სახელდობრ: ნინოსი, დავით და კონსტანტინესი, დავით აღმაშენებლისა, თამარისა, ანდრია პირველ წოდებულისა და წმიდა გიორგისა, ფასი თოთოსი 5 კ. ერთ ასე დაიბარებს ნალდ ფულზე, მას გაგზავნით დაეთმობ. სამ მარ. ესეთი იმექონებიან ვერცხლისაც, ფასი 40 კა

### 11. მხატვრობანი სას. და საერთ მოღვაწეთა.

1. შოთა რუსთაველი . . . . .
2. აკაკი წერეთელი . . . . .
3. თამარ შეფე . . . . .

იმექონება აგრეთვე შესავალ-გასავალის წიგნები და კოველგვარი მოწმ. ბლანკები და ამოწერილობანი.

### შ ი ნ ა რ ს ი:

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შესახებ, დეკ დ. ლამბაშიძისა. — ყვირილიდან პეტერბურლიმდე, მისივე. — საბლობურინო წიგნთ-საცავ-სამკითხველო. — მწარე ფიქრები, სოფლის სუკისა. — ღრიოდე სიტყვა ქუთაისის სემინარიის სახლის აშენების შესახებ, დეკ. დ. ლამბაშიძისა. — საიდან წარმოსდგება სოფლის ეკალესიების უვარებისა, მღ. კ. ანთაძის. — ვლა-დიკაგრაზის ეპისკოპოსის ვლადიმირის 10 წ. იუბილე. — გამა-ცანა (ლექსი), როსტომ — გუდასი — მმი, მისივე. — უზრალ-გაზეთებიდან. — ახალი ამბები და შენიშვნები. — ყველას საყურადღებოდ, დეკ. დ. ლამბაშიძისაგან. — განცხადებანი.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე.

Дозволено цензурою Архимандритъ Георгий 18 сентября 1903 г.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Georgij 18 сентября 1903 г.